№3(4) 25.01.1991

# საროზიელი

თავისუფალი სპორტული გაზეთი ფასი 40 კაპიკი საქართველოს მენეჯერთა კავშირი

ეროვნული ბიბლიოთეკა


**ნომერშია:**

**ფეხბურთის ფედერაცია ადასტურებს:**
არჩევანი გაკეთებულია!
მე-2 გვერდი

**პირველი ეროვნული ჩემპიონატი**
მხოლოდ ფაქტები და ციფრები
მე-4 გვერდი

**ოლიმპიური ჩემპიონი ოლიმპიურ პერსპექტივაზე**



ინტერვიუ ვაჟა კაჭარავასთან
მე-5 გვერდი

**ადამიანის შესაძლებლობათა ზღვარი**
პროგნოზი 2000 წლისთვის
მე-6 გვერდი

**სუპერვარსკვლავი სუპერგუნდიდან**
მაიკლ ჯორდანი
მე-8 გვერდი

**პრეზიდენტი და „კოკა-კოლა“**
რა ღირს ოლიმპიადა?
მე-8 გვერდი




გია ახალქაის ფოტო

## თუ სიტუაცია არ შეიცვალა...

ამ დღეებში რიგაში უნდა გამართულიყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მორიგი მატჩი კალათბურთში: რიგის ასკ—თბილისის „დინამო“. ბალტიისპირეთში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გამო, ეს შეხვედრა არ შედგა.

— ჩვენ „სოვეტსკი სპორტიდან“ შევიტყვეთ, რომ ეს მატჩი არ გაიმართებოდა, — გვითხრა თბილისის დინამოელთა მთავარმა მწვრთნელმა ლევან მოსეშვილმა, — ამ გაზეთში გამოქვეყნებული იყო ცნობა, რომ ლატვიელმა კალათბურთელებმა გადაწყვიტეს პირველ თებერვლამდე შეწყვიტონ მონაწილეობა საკავშირო პირველობებში. ორიოდე დღის შემდეგ ესტონელებმაც ბოიკოტი გამოუცხადეს კალათბურთის საკავშირო ფედერაციას. მოკლედ, საქმე ისე მიდის, საკავშირო პირველობა შეიძლება ვერც დამთავრდეს. ჩვენ ვერ მოვახერხეთ რიგასთან ტელეფონით დაკავშირება. თბილისის „დინამოს“ გუნდის საგანგებო კრებაზე გამოითქვა მოსაზრება, რომ, თუ ასე გაგრძელდა და პოლიტიკური სიტუაცია არ შეიცვალა, ჩვენც უარს ვიტყვით საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობაზე. კალენდრის მიხედვით, 25 იანვარს მინსკში ადგილობრივ რტი-ს უნდა შევხვდეთ. მინსკში ალბათ გავემგზავრებით, შემდეგ კი საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებთ.

P.S. რიგიდან მოვიდა ახალი ცნობა: ლატვიის რადიოთი გამოსვლისას რესპუბლიკის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ დ. შვეიცმა განაცხადა, რომ ლატვიის არც ერთი გუნდი და სპორტსმენი არ გამოვა არც საბჭოთა კავშირის პირველობებში, არც სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში.

## გასაჩივრებას არ ექვემდებარება?

ხვრისთვის უკვე ანაქრონიზმად იქცა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადები, ოღონდ ეს — მათ გონებაში, თორემ ამ წმინდა საბჭოური ასპარეზობის შენარჩუნების მსურველი პარტიული ჩინოვნიკები მოსკოვში კვლავაც მრავლად არიან... სპარტაკიადებზე უარის თქმა მათთვის რაღაც საბჭოურზე უარის თქმას ნიშნავს, ასეთ დათმობას კი 70-იანი წლების ბატონობით გათამამებული ხალხი მიჩვეული არ არის.

და მაინც, სოცარია, რა სახით ჩაიფიქრეს მათ წლევანდელი, რიგით მეათე სპარტაკიადა; არც კი უცდიათ, საბჭოთა კავშირის დღევანდელი ხელმძღვანელობის მიბაძვით ვითომ დემოკრატიის თხელ საბურველში მაინც „გაეხვიათ“ — სპარტაკიადის ყველა წესი, ყველა დებულება მოსკოვშია შემუშავებული და სრულიად იგნორირებულია ნებისმიერი რესპუბლიკის მოთხოვნები, წინადადებები. მას პირდაპირ სამხედრო ბრძანების სახე აქვს, რომელიც „გასაჩივრებას არ ექვემდებარება“.

აი, ასეთი გამოცდის წინაშე აღმოჩნდნენ ჩვენი სპორტსმენები და სპორტული წრეების წარმომადგენლები — მიეღოთ თუ არა მონაწილეობა ამ სპარტაკიადაში? სპორტსახკომმა გადაწყვიტა — ჯერჯერობით მივიღოთ...

დღევანდელ ვითარებაში ასეთი გადაწყვეტილების გამოტანა მეტად საჩოთირო და სარისკოცაა. რას ემყარება სპორტსახკომის ხელმძღვანელთა და ამ ნაბიჯის სხვა მხარდამჭერთა არგუმენტები?

ჯერჯერობითო, — აღნიშნავენ ისინი, — ჩვენი სპორტსმენებისათვის გზა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებისაკენ, განსაკუთრებით ოლიმპიური თამაშებისკენ, მხოლოდ საკავშირო ნაკრებ გუნდებზე გადის. ამ სპარტაკიადის ორგანიზატორებმა კი ერთგვარი ხაფანგი დაუგეს მათ: სპარტაკიადის პარალელურად ტარდება საბჭოთა კავშირის ჩემპიონატები. თუ სპორტსმენი ამ ტურნირებს გამოტოვებს, უმეტესობა ალბათ ვეღარ მოხვდება ქვეყნის ნაკრებში, გზა გადაეკეტება ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებისაკენ, სათუო ხდება მისი გამოსვლა ოლიმპიურ თამაშებშიცო (საქართველოს 50-მდე სპორტსმენი ითვლება სავარაუდო ოლიმპიელად).

გარდა ამისა, სპორტსახკომში ისიც გვითხრეს, რომ სხვა რესპუბლიკებსაც (ბალტიისპირეთის გარდა) და[illegible]კავშირდნენ ტელეფონით და შეიტყვეს, რომ მათაც თურმე განზრახვა ჰქონიათ (ეს მოხდა ლიტვისა და ლატვიის ტრაგიკულ ამბებამდე).

მოკლედ, საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები უკვე გაემგზავრა მინსკში და გუნდი ჩაება მეათე საკავშირო სპარტაკიადაში...

აქ ერთი ამბავიც გვინდა გაუწყოთ, ამავე სპორტსახკომში მოსმენილი: სპარტაკიადა მარათონულია — იანვრიდან სექტემბრამდე გრძელდება, საქართველოს სპორტსმენები მხოლოდ იმ სახეობებში მიიღებენ მონაწილეობას, რომლებიც ასე თუ ისე ძლიერებად ითვლებიან, რათა საკავშირო ნაკრებ გუნდებში ადგილები შეინარჩუნონ.

ამასთან, ძიუდოისტთა ტურნირის შემდეგ მაისამდე არავითარი ტარდება. „ამ ხნის განმავლობაში ვინ იცის, რა მოხდება და ჩვენ შეიძლება შევწყვიტოთ სპარტაკიადაში მონაწილეობა“-ო, ესეც თქვეს სპორტსახკომში.

ჯერჯერობით კი ეგრეთ წოდებული საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადა ძალაში რჩება.

## გურული — პოლონეთში, ჭედია — შვეციაში

რამაზ შენგელია, თენგიზ სულაქველიძე, მერაბ მეგრელაძე, ზაურ სვანაძე— უცხოეთის საფეხბურთო კლუბებში სხვადასხვა დროს მოთამაშე ქართველ ფეხბურთელთა ამ სიას შეიძლება მალე ორი გვარიც დაემატოს: პოლონეთის „კატოვიცეში“ ეპატიჟებიან გია გურულს, შვეციის „ჰოლმსუნდში“ — სოსო ჭედიას.

— „კატოვიცე“, როგორც იცით, პოლონეთის ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში თამაშობს, — უთხრა „სარბიელის“ კორესპონდენტს თბილისის „იბერიის“ გუნდის უფროსმა ვლადიმერ გუცაევმა. — შარშან ზაფხულში „იბერიამ“ კატოვიცეში რამდენიმე ამხანაგური მატჩი გამართა. მასპინძლებს განსაკუთრებით გურული მოეწონათ და თავიანთ გუნდში გადასვლა შესთავაზეს. მაშინ მოლაპარაკება ვერ მოხერხდა. ნოემბერში თბილისში ჩამოვიდნენ ამ კლუბის ხელმძღვანელები და უკვე კონკრეტული საუბარი გაიმართა. გურული ამ დროისათვის ტრავმირებული იყო და სტუმრებთან ერთად პოლონეთში გაემგზავრა სამკურნალოდ. რაც შეეხება სოსო ჭედიას, შვეციის „ჰოლმსუნდში“ მის გადასვლასთან დაკავშირებით ასევე წინასწარი მოლაპარაკება გაიმართა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თანხმობის შემთხვევაში, თუ კონტრაქტი დაიდო, შუამავლობას სპორტსახელოვნება „დინამოს“ საკავშირო საბჭო კისრულობს (მოგეხსენებათ, სანამ ჩვენი ფედერაცია საერთაშორისო აღიარებას არ მოიპოვებს, უცხოეთის კლუბებთან მოსკოვის გვერდის ავლით კონტაქტებს ვერ დავამყარებთ). ამ გარიგებით დაახლოებით 100 ათას დოლარს მივიღებთ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა უკვე იმსჯელა გურულისა და ჭედიას უცხოეთის კლუბებში გადასვლის თაობაზე და წინასწარი თანხმობა მისცა „იბერიას“. ამავე დროს მიზანშეწონილად მიიჩნიეს შემუშავდეს სათანადო დებულება, რათა მოწესრიგდეს საქართველოს ფეხბურთელთა საზღვარგარეთის გუნდებში გადასვლის სამართლებრივი საკითხები.

# „მაქვს პატივი მოგახსენოთ“

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფედერაცია ადასტურებს: არჩევანი გაკეთებულია!

„...სულ გადამავიწყდა, რომ ადამიანს სიტყვა აზრისათვის არა აქვს მინიჭებული, არამედ იმისათვის, რომ დიდმა სთქვას: „მე შენ გიბრძანებ და ხმა უნდა გაიკმინდო“, და პატარამ მიუგოს: „მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ ენა მუცელში ჩამივარდა, ბრძანებისამებრ თქვენისა“ (ილია)... ხანდახან, თურმე, ასე არ ხდება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უკან დახევას არ აპირებს და კიდევ ერთხელ ადასტურებს: ფედერაციის პრეზიდიუმის დეკემბრის დადგენილება ძალაში რჩება; საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ოცი გუნდი ითამაშებს; ჩემპიონატი „შემოდგომა-გაზაფხულის“ სისტემით გაიმართება; საშეჯიბრებო დებულების შემუშავება ფედერაციის პრეზიდიუმის პრეროგატივაა და სპეციალისტთა საქმეში ჩარევის უფლება არავის არა აქვს!

მაინც ვინ ჩაერია სპეციალისტთა საქმეში? შეგახსენებთ: შარშან, დეკემბრის მიწურულს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა არსებითი ცვლილებები შეიტანა ეროვნული ჩემპიონატის დებულებაში. ფედერაციის საექსპერტო კომიტეტმა, რაკი უხეშად დაირღვა პირველი ეროვნული ჩემპიონატის დებულების უმნიშვნელოვანესი მუხლი, გააპროტესტა ეს გადაწყვეტილება. პრეზიდიუმმა უარყო პროტესტი და მიიჩნია, რომ საექსპერტო კომიტეტმა გადაამეტა თავის უფლებამოსილებას. თავის მხრივ, საექსპერტო კომიტეტმა განცხადებით მიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს. განათლების, კულტურისა და მეცნიერების, ჰუმანიტარული და სოციალური საკითხების მუდმივმოქმედი კომისიის გაერთიანებულმა სხდომამ დაადგინა: „მიჩნეულ იქნეს საქართველოს 1990 წლის ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის დებულების მეოთხე თავის მეხუთე მუხლის დარღვევის ფაქტი სფფ-ის პრეზიდიუმის მიერ, დაევალოს სფფ-ის პრეზიდენტსა და პრეზიდიუმს დებულების დაცვა და არ დაუშვას მისი დარღვევა“. ერთი სიტყვით, ფედერაციას წინადადება მიეცა გადასინჯოს თავისი გადაწყვეტილება და ამის შესახებ „წერილობით აცნობოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს“.

ცხადია, ფედერაცია უყურადღებოდ ვერ დატოვებდა რესპუბლიკის უზენაესი ხელისუფლების მუდმივმოქმედი კომისიის დადგენილებას, რომელიც ოპერატიულად გამოქვეყნდა პრესაში. 18 იანვარს გაიმართა ფედერაციის პრეზიდიუმის საგანგებო სხდომა. სფფ-ის პრეზიდენტმა ბატონმა ნოდარ ახალკაცმა შეკრებილთ გააცნო უზენაესი საბჭოდან მიღებული მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის ოქმის ამონაწერი, რომელშიც, სხვათა შორის, აღნიშნულია, რომ „სფფ-ს პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა, მიუხედავად საექსპერტო კომიტეტის არაერთგზის მითითებისა, უხეშად დაარღვია ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის დებულება, რაც წარმოადგენს კანონის უხეშ დარღვევას“. ნოდარ ახალკაცი ამბობს: „ჯერ ერთი, დებულება მე არ დამირღვევია. ჩემპიონატის ახალ სტრუქტურაზე გადასვლის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო ფედერაციის პრეზიდიუმმა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით. ჩვენ დავარღვიეთ შარშანდელი დებულება, მაგრამ არ დაგვირღვევია წესდება, წესდების ძალით, დებულების შემუშავება და დამტკიცება სწორედ პრეზიდიუმის კომპეტენციაში შედის. ჩვენ ანგარიშვალდებულნი ვართ ყრილობის წინაშე და არავის არა აქვს უფლება, გარედან ჩაერიოს ფედერაციის საქმეებში. ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ მიიწვიეს უზენაესი საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიის სხდომაზე ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელი... გადაწყვეტილებას, რომელიც ჩვენ დეკემბერში მივიღეთ, საფუძვლად დაედო ქართული ფეხბურთის ინტერესები. ფედერაცია არჩეული გზიდან არ გადაუხვევს“.

პრეზიდიუმის წევრებმაც ერთხმად დაადასტურეს ეროვნულ ჩემპიონატში ღრმა სტრუქტურული ცვლილებების საჭიროება (კენჭისყრაში მონაწილეობისგან თავი შეიკავა მხოლოდ ზურაბ პეტრიაშვილმა). ამავე დროს, ალექსანდრე ჩივაძემ, რამაზ შენგელიამ, თენგიზ სულაქველიძემ და სხვებმა სინანული გამოთქვეს იმის გამო, რომ უზენაესი საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიის სხდომამ, ვიდრე დადგენილებას მიიღებდა, საჭიროდ არ მიიჩნია მოესმინა ფეხბურთის სპეციალისტებისათვის.

ჩვენი აზრით, დასანანი სხვაც არის, კერძოდ ის, რომ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმსა და საექსპერტო კომიტეტს შორის უთანხმოება ასე გაჭიანურდა და კამათმა „სხვა მოედანზე“ გადაინაცვლა.

**P.S.** გუშინწინ მივიღეთ საკდესის ინფორმაცია: ევროპის საფეხბურთო სტადიონებზე მაყურებელთა რაოდენობა საგრძნობლად მცირდება. უეფა-მ განაცხადა, რომ 2000 წლისთვის მაყურებელთა რიცხვი კიდევ 15 პროცენტით დაიკლებს. საფეხბურთო კავშირების ევროპის ასოციაცია რეკომენდაციას იძლევა შემცირდეს ეროვნულ ჩემპიონატებში მონაწილე გუნდების რაოდენობა.

---

გუშინ მინსკში დაიწყო ძიუდოისტთა ტურნირი სსრ კავშირის ხალხთა საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ეს დიდი კომპლექსური ასპარეზობა სსრკ ხალხთა ერთიანობისა და სპორტული ოლიერების განსახიერებად ითვლებოდა. წლევანდელი, მეათე, საიუბილეო სპარტაკიადა იმ „სისხლიანი ხანძრების“ პერიოდში ტარდება, უკანასკნელ ხანს რომ მოედო ერთ დროს ყველაზე „ბედნიერ“ სახელმწიფოს. დემოკრატიული გარდაქმნები სპორტსაც შეეხო. საქართველოში, ლიტვაში, ესტონეთში, ლატვიაში გაიშალა მოძრაობა სპორტული სუვერენიტეტის მოპოვებისათვის. — თუ დღეს ვინმე ცდილობს ცენტრის დიქტატის „მეურვეობისაგან“ თავის დახსნას, ალბათ ყველაზე მეტად ჩვენი მოჭიდავეები, — ამბობს საქართველოს სპორტსახკომის ჭიდაობის გაერთიანების უფროსი ომზარ შოშიტაშვილი. — ჩვენ განსაკუთრებით მწვავედ განვიცდიდით ცენტრის ზემოტევას. ასე რომ არა, ქართველ მოჭიდავეთა წარმატებები მსოფლიო სარბიელზე შეიძლებოდა ზევრად უფრო მნიშვნელოვანი ყოფილიყო. იყო პერიოდები, როცა ჩვენი რესპუბლიკის გუნდი ძალით სსრ კავშირის ნაკრებს არ ჩამოუვარდებოდა, მაგრამ ესეც კი არ აღმოჩნდა საკმარისი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში, ოლიმპიურ თამაშებში დამოუკიდებლად გამოსვლის უფლების მოპოვებისთვის. სამწუხაროდ, ჩვენი სპორტსმენების ინტერესები იბღალებოდა ცენტრის ინტერესობის გამო. ამგვარი ტენდენციურობა დღესაც აშკარაა.

**— განა არ არის დრო, თავი დავიხსნათ ამ დიქტატისაგან?**

— ხშირად გვესმის მსგავსი საყვედურები. როგორც წესი, მაგალითად გვისახელებენ ფეხბურთის რესპუბლიკურ ფედერაციას, რომლის გადაწყვეტილებასაც ჩვენ გულწრფელად მივესალმებით. ქართული ფეხბურთის ამ ნაბიჯს თავისი საფუძველი ჰქონდა, ამას უკვე ჩატარებული პირველი ეროვნული ჩემპიონატიც ადასტურებს. ჩვენი მდგომარეობა სხვაა. ამიტომ ჩვენ სუვერენიტეტის მისაღწევად სხვა გზა ავირჩიეთ. ჩვენ ნებისმიერ დროს შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ გამოვდივართ ჭიდაობის სახეობათა ყველა საკავშირო ფედერაციიდან, მაგრამ მაშინვე მთელ სამყაროს მოწყვეტილი აღმოვჩნდებით. ფეხბურთისაგან განსხვავებით, ჩვენ ვერ შევძლებთ სრულყოფილი ჩემპიონატის ჩატარებას. ჭიდაობა სპორტის ინდივიდუალური სახეობაა და გობეჯიშვილისა და ტოტიკაშვილის მსგავსი ტალანტებიც ძალზე იშვიათად იბადებიან. ასეთი ნიჭი თუ დიდი ხალიჩის მიღმა დარჩა, შეიძლება სულ ადვილად ჩაქრეს, უკვალოდ დაიკარგოს.

სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში ჭიდაობის ყველა სახეობის სექციებში დაახლოებით 49 ათასი კაცია გაერთიანებული. და აი, თუ სტიმული არ იქნა, მათი მეხუთედი მაინც შეიძლება ქუჩაში აღმოჩნდეს, უკონტროლოდ დარჩეს. ეს კი გაცილებით დიდი დანაკარგი იქნება საქართველოსთვის. სპორტი ხომ ძლიერ, საზოგადოებისთვის სასარგებლო ადამიანებს ზრდის. საქართველოს კი დღეს სწორედ ასეთი ადამიანები სჭირდება.

**— მაშ, როგორია თქვენი გზა სუვერენიტეტისაკენ?**

— მოვიყვან რამდენიმე ციფრს. შარშან საქართველოს მოჭიდავეებმა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში, ყველა ასაკში, ცხრამეტი უმაღლესი ჯილდო დაიმსახურეს. ასეთი წარმატება დიდი ხანია აღარ მოგვიპოვებია. გარდა ამისა, საკავშირო სარბიელზე ჩვენი ჭაბუკები პირველნი იყვნენ ყველა სახეობაში, ახალგაზრდებს შორის მოასპარეზეები პირველ-მეორე ადგილებს იყოფდნენ, მოზრდილთა შეჯიბრებების მონაწილენი კი პრიზიორთა სამეულში მაინც უთუოდ ხვდებოდნენ. წლეულს ჩვენი ამოცანაა შევინარჩუნოთ ეს დონე საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს ჭიდაობის ქართული სკოლის ავტორიტეტს. ამავდროულად განვითარდება დამოუკიდებელი კონტაქტები სხვა ქვეყნების ჭიდაობის ფედერაციებთან, ეს იმის დასტური იქნება, რომ შეგვიძლია დამოუკიდებლად ცხოვრება. შარშან საქართველოს ნაკრები გუნდები უკვე იყვნენ ტურნირებზე ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, იაპონიაში, ფინეთში, საფრანგეთში. საცსებით კეთილმოსურნე ურთიერთობა გვაქვს ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციასთან, მის პრეზიდენტთან — მილან ერცეგანთან. ჩვენ ვცდილობთ ყოველმხრივ მოვამზადოთ ნიადაგი და დროულად გადავდგათ რეალური ნაბიჯი. ახლა საკავშირო ტურნირებში მონაწილეობაზე უარის თქმა კი იმას ნიშნავს, რომ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში თუ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის ყოველგვარი შანსი დავკარგოთ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ შეჯიბრებებში ჩვენი ათლეტების გამარჯვება კიდევ უფრო გაზრდის საქართველოს პრესტიჟსა და ავტორიტეტს.



# მიზნისკენ საკუთარი გზით

რაც შეეხება სპარტაკიადას, ჩვენი მოჭიდავეები ყველა დისციპლინაში აპირებენ გამოსვლას. მინსკში ერთდროულად ტარდება ძიუდოისტი ვაჟებისა და ქალების ტურნირები. ვაჟთა ნაკრებს სათავეში უდგას გუნდის მთავარი მწვრთნელი, ოლიმპიური ჩემპიონი შოთა ხაბარელი. გუნდის განაცხადში დასახელებული არიან მსოფლიო ჩემპიონი ამირან ტოტიკაშვილი (60 კილოგრამამდე) და კობა კურტანიძე (95 კილოგრამამდე), მსოფლიო ჩემპიონები ახალგაზრდებს შორის ვლადიმერ დგებუაძე (71 კგ-მდე) და ზაზა დაბრუნდაშვილი (აბსოლუტური პირველობა), სსრ კავშირის ჩემპიონი გურამ მოდებაძე (65 კგ-მდე), სსრ კავშირის ჩემპიონატის პრიზიორი ბათო ჯიქური (78 კგ-მდე), ევროპის გუნდურ პირველობაში გამარჯვებული დავით ხახალეიშვილი (95 კგ-ს ზევით), თბილისის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული დავით ბაგაური (86 კგ-მდე).

მინსკში პარალელურად მოეწყობა ტურნირი სსრ კავშირის სპორტსახკომის პრიზებზე. საქართველოდან ამ შეჯიბრებაში გამოვა ოცზე მეტი ძიუდოისტი. ორივე ტურნირის პრიზიორები გაითამაშებენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მედლებს. ჩვენს ქალთა ნაკრებს მურად მწარიაშვილი ამზადებდა. გუნდში ძირითადად ის სპორტსმენები შევიდნენ, რომლებმაც შარშან თავი გამოიჩინეს მოსწავლეთა სპარტაკიადაში. 26 იანვარს გამოვლინდებიან სპარტაკიადაში გამარჯვებულნი, 27 იანვარს — საბჭოთა კავშირის ჩემპიონები. თავისუფალი სტილის, კლასიკური სტილის მოჭიდავეებისა და სამბისტების სასპარტაკიადო ტურნირები ივნისში მოეწყობა ზაპოროჟიეში. იმედი გვაქვს, ჩვენი ვაჟთა გუნდები ყველა დისციპლინაში პირველ სამეულში მოხვდებიან.

მოწყენილნი არც ქართველი გულშემატკივრები იქნებიან. 1—3 თებერვალს თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდება საიუბილეო ოცდამეთე საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში სახელგანთქმული ფალავნის ვახტანგ ბალავაძის პრიზზე. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად უკვე ჩამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, იაპონიის სპორტსმენები... საქართველოს გუნდი უძლიერესი შემადგენლობით გამოვა. გვინდა მადლობა ვუთხრათ ტურნირის სპონსორებს — თბილისის მესამე სატაქსომოტორო გაერთიანების და ყვარლის რაიონის კომერციული საწარმო „ვაზის ცრემლების“ კოლექტივებს. თებერვლის შუა რიცხვებში თბილისში მოეწყობა ძიუდოისტთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი.

ესაუბრა შალვა შალოლაშვილი.






# ხუთი ერის პირველობა

პირველი ტური

## ნავსი გატეხეს

კარდიფი. ეროვნული სტადიონი (ყოფილი „არმზ ფარკი"). 19 იანვარი. უელსი 6 (3) (2ს) — ინგლისი 25 (12) (1ლ, 7ს)

ინგლისმა ნავსი გატეხა და მოჯადოებულ „არმზ ფარკზე" 28 წლის (!) შემდეგ, როგორც იქნა, გაიმარჯვა. გარდა ამისა, სტუმრებმა გვარიანად იყარეს ჯავრი ათწლეულობით მათზე ძლიერ, ამჟამად კი დაკნინებულ „წითელ ურჩხულზე" — უელსზე და ორი რეკორდიც დაამყარეს: ერთი, რომ ინგლისს კარდიფში ამდენი ქულა მანამდე არასოდეს მოუგროვებია; და მეორე, ამდენი — შვიდი (!) საჯარიმო რომელიმე გუნდს, და ისიც — ერთ რომელიმე მოთამაშეს, ტესტებში არასოდეს გაუტანიათ.

დიახ, როგორც რაგბში ხშირად ხდება ხოლმე, გუნდი გაირჯება, უპირატესობას მიაღწევს, საჯარიმოებს მოიპოვებს, ერთი კაცი კი — დამრტყმელი, ამ შემთხვევაში „ნოთინგემის" მცველი (15) საიმონ ჰოჯქინსონი — ამ უპირატესობას ქულებად აქცევს. ამჯერადაც ასე მოხდა: ჰოჯქინსონმა კარში ცხრაჯერ დაარტყა და შვიდი გოლი გაიტანა.

უელსის სამწუხაროდ, მათ დამრტყმელსა და კაპიტანს ფოლ სორბერნს (15) ამ დღეს ბედი არ სწყალობდა. შესვენებამდე, როცა თამაში ასე თუ ისე თანაბარი იყო, ჰოჯქინსონის ოთხ გოლს სორბერნმა მხოლოდ ერთით უპასუხა, სამჯერ კი ბურთი კარს ააცდინა. თუმცაკი, ისიც სათქმელია, რომ ანგარიში თავიდან სწორედ უელსელმა გახსნა.

მეორე ნახევარში უფრო გამოცდილმა და შეთამაშებულმა ინგლისმა იძალა. საქმე ისაა, რომ ინგლისი დღითიდღე ძლიერდება, უელსში კი ახლა დიდი „სარაგბო გარდაქმნაა": ამ სეზონიდან იქაც დაიწყეს ეროვნული პირველობების გამართვა. ნაკრებშიც მრავალი ახალბედაა. ამ მხრივ ერთობ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ინგლისთან მატჩში შერკინების მეორე და მესამე ხაზების ხუთ მოთამაშეზე ჯამში სულ ათი ქეფი — ანუ ნაკრებში თამაშის დასტური — მოდიოდა.

უელსელმა ახალბედებმაც, წაგების მიუხედავად, იმედი გაუმართლეს ახალ მწვრთნელს — რონ ვოლდრონს. თავი განსაკუთრებით 19 წლის მცველებმა: სქოთ გიბსმა (12) და ნილ ჯენქინსმა (10) გამოიჩინეს. პირველმა ჯიქური გარღვევებით პირდაპირ გატანჯა მეტოქე, მეორემ კი შესვენების შემდეგ საჯარიმოც კი შეაგდო — მას შემდეგ, რაც თავად სორბერნმა უხმო დასარტყმელად.

ანგარიში 6:12 გახდა, უელსს იმედიც მიეცა, მაგრამ აქ ინგლისი მთელი ძალით ათამაშდა და ჰოჯქინსონმაც უმალ კიდევ ორი საჯარიმო შეაგდო. მერე სორბერნი შეცდა — თავისს ლელოში გაექცა ბურთი; ხუთმეტრიანი შერკინებიდან რიჩარდსმა (8) შეუტია და თიიგმა (6) ლელო გაიტანა — 6:22.

თუმცა ამით უელსის კაპიტნის ფათერაკები არ დამთავრებულა: დარჩენილ დროში სორბერნმა გიბსს შრომა წყალში ჩაუყარა — მეტოქის ლელოსთან მისი გარღვევის შედეგად მიტანილი ბურთი ძირს დააგდო, შემდეგ კი ბურთი თავისს ლელოშიც გაუვარდა და ინგლისს კინაღამ მეორე ლელო აჩუქა.

როგორც თამაშის მერე გაირკვა, კარდიფში ინგლისის სტუმრობამ უდავიდარაბოდ ვერც ამჯერად ჩაიარა.

თავად განსაჯეთ: 1987 წლის წაგებულ თამაშში ინგლისელებმა მასპინძლებს მუშტი-კრივი გაუმართეს, რის გამოც მათი ამჟამინდელი ვარსკვლავები — ფოლი (9) და ენდრიუ (10) ნაკრებს კარგა ხნით ჩამოაშორეს.

1989 წელსა უელსმა ინგლისს კვლავ მარცხი აწვნია და ჩემპიონობა დააკარგვინა, რის შემდეგაც სორბერნმა ტელეკამერებს უწმაწური ჟესტები შეაგება, პრეს-კონფერენციაზე კი ერთ-ერთ ჟურნალისტს წაეჩხუბა. ამისთვის სორბერნი კაპიტნობიდან გადააყენეს და იმ ზაფხულს „ბრიტანელი ლომების" ავსტრალიური ტურნეც გამოატოვებინეს.

წელს კი თხუთმეტივე ინგლისელმა პირი შეკრა და მატჩის შემდგომ ინტერვიუზე ჟურნალისტებს უარი განუცხადა, „აქაო და თამაშმა ერთობ დაგვღალაო".

ინგლისის რაგბის კავშირის მდივნის დადლი ვუდის განცხადებით, კავშირმა შეიძლება მკაცრად დასაჯოს გუნდი და 16 თებერვალს შოტლანდიის წინააღმდეგ მთლად ახალი ნაკრებიც კი გამოიყვანოს.

ახლა საკითხავია, თუ ასე რამ გააგულისა გამარჯვებული ინგლისელი მორაგბეები. იქნებ იმან, რომ მათი ქვეყნის რაგბის კავშირი სამოყვარულო პრინციპების თავგამოდებული დამცველია და მოთამაშეებს გასამრჯელოსათვის ინტერვიუს მიღებას ვერ მოუწონებს. მორაგბეებმაც, „ასე არ უნდაო", და მედიის მუშაკნი პირში ჩალაგამოვლებული დატოვეს.



## ძველი გვარდია მწყობრშია

პარიზი. „პარკ დე პრენსის" სტადიონი. 19 იანვარი.

საფრანგეთი 15 (9) (3ა, 2ს) — შოტლანდია 9 (3) (1ა, 2ს)

„ხუთი ერის პირველობის" შარშანდელ გამარჯვებულ შოტლანდიას 22 წელია პარიზში ვერ გაემარჯვნა. ეს უსიამო ტრადიცია ბრიტანელებმა ვერც ამჯერად დაარღვიეს და პირველსავე ტურში დაკარგეს „დიდი სლემის" კვლავ მოპოვების შანსი.

1990 წელი საფრანგეთისათვის უიღბლო გამოდგა: გუნდმა 9 ტესტიდან 6 წააგო, მათ შორის — შოტლანდიასთანაც (ედინბურგში, 0:21). სწორედ ამ წაგების შემდეგ ფრანგულ რაგბში სრული ქაოსი დამკვიდრდა: წლის მანძილზე ნაკრების კვართი 47 (!) მოთამაშეს მოაზომეს.

მიუხედავად ამისა, საფრანგეთმა მასთან სტუმრად მყოფი ახალი ზელანდიისაგან ნოემბერში ორი სასტიკი მარცხი იწვნია — 3:24 და 12:30. ამან ნაკრების ახალ მწვრთნელს, იმავე ნაკრების ყოფილ კვაჩს — დანიელ დიუბროკას ხელი აალებინა წინამორბედის — ჟაკ ფურუს მიერ წამოწყებულ „ბებრების" განდევნის პოლიტიკაზე. მეტიც, დიუბროკამ და მისმა თანაშემწემ, ნაკრების მცველმა და კაპიტანმა სერჟ ბლანკომ შოტლანდიასთან სათამაშოდ გუნდში კვლავ უხმეს დაუმსახურებლად დათხოვნილ ძველ გვარდიას, რის შედეგადაც საფრანგეთის უკანა ხაზი 1991 წლის პირველსავე მატჩზე მეტად ტიტულოვანი შემადგენლობით წარსდგა.

აი ისიც: ბლანკო (15); ლაფონი (14), შარვე (13), მენელი (12), ლაჟისკე (11); კამბერაბერო (10), ბერბიზიე (9).

უკანა ხაზისგან განსხვავებით, ფრანგთა შერკინება უფრო ახალგაზრდა იყო. სწორედ ამ რგოლის უკეთესი თამაში, მეტადრე კი ოლივიე რუმას (4) ოსტატობა დერეფანში, აღმოჩნდა ის ფაქტორი, რამაც საფრანგეთს ამ დღეს გაამარჯვებინა.

ანგარიში მე-3 წუთზე გაიხსნა: დიდიე კამბერა ბერომ 45 მეტრიდან საჯარიმო შეაგდო. ორი წუთის შემდეგ შერკინებიდან მიღებული ბურთი ქრეგ ჩალმერსმა (10) არეკნით გაიტანა — 3:3. მალე ფრანგების უკანა ხაზმა დიდებულად შეუტია, არმსტრონგმა (9) სასწაულად დაიცვა ლელო, მაგრამ 22-მეტრიანი დარტყმიდან ბურთი პირდაპირ ბლანკოს მიუვიდა და მანაც არეკნით შორიდან ზუსტად დაარტყა. მერე იყო და კამბერაბერომ კიდევ ერთი საჯარიმო შეაგდო; აი, შოტლანდიელ გევინ ჰესთინგსს (15) კი ორი საჯარიმო გაუცუდდა.

მეორე ნახევრის დასაწყისში სტუმრებმა შეუტიეს და მე-14 წუთისთვის ჩალმერსმა ორი საჯარიმოს გატანით ანგარიში გაათანაბრა — 9:9. მაგრამ ეს იყო და ეს, რაც შოტლანდიამ შეძლო. ფრანგების უკანა ხაზის მორიგი შეტევა სტუმრებმა უხეიროდ მოიგერიეს და კამბერაბერომ მეტოქე არეკნით დასაჯა — 12:9. აქედან მოყოლებული მასპინძლები გალაღდნენ, ისე ათამაშდნენ, როგორც წინათ სჩვეოდათ და შეხვედრის ბოლომდე კამბერაბერომ კიდევ ერთი არეკნი გაიტანა. 15:9 — ასე დამთავრდა ეს უღლოო თამაში, რომელიც ამისდა მიუხედავად, მაინც ერთობ მიმზიდველი გამოდგა.

მეორე ტური შაბათს, 2 თებერვალს გაიმართება. ირლანდია უმასპინძლებს საფრანგეთს, შოტლანდია — უელსს.

ზაალ გიგინეიშვილი

სურათზე: უელსის უიღბლო კაპიტანი სორბერნი (კლუბ „ნისის" ჭრიანი კვართით).

გაეროს გადაწყვეტილებით, 1977 წლიდან მსოფლიო სპორტულ საზოგადოებრიობას აეკრძალა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან ყოველგვარი ურთიერთობა.

მიუხედავად ამისა, სამხრეთაფრიკული სპორტი, მეტადრე რაგბი, დღემდე იმის ცდაშია, ბლოკადა როგორმე გაარღვიოს.

ე.წ. სოციალისტურ ქვეყნებში ბოლო ხანს მომხდარმა პოლიტიკურმა მოვლენებმა „რასისტებს" როგორც ჩანს, მოაფიქრებინა, რომ მიზანს თავად ბლოკადის შთამაგონებელთა და მომწყობთა შემწეობით მიაღწიონ.

ამას ის მოწმობს, რომ ნახალწლევს სამხრეთ აფრიკის „რასისტულმა" რაგბის საბჭომ სსრ რაგბის ფედერაციას გამოუგზავნა ოფიციალური წერილი, რომლითაც სსრკ ნაკრებს სამხრეთაფრიკულ ტურნეზე პატიჟებს.

რუმინეთის რაგბის ფედერაციის განცხადებით, სამხრეთაფრიკელებმა ანალოგიური წინადადებით მასაც მიმართეს, თუმცა არაოფიციალურად.

თუ საბჭოელ და რუმინელ რაგბის „ბოსებს" განცხადებებს დავუჯერებთ, ისინი ტურნეზე უბრალოდ არიან, ოღონდ ჭირს თუ რამე ნუ იტყვით, თავიანთი მთავრობებისგან ნებართვის მიღება სჭირდებათ.

რაც შეეხება სამხრეთაფრიკული რაგბის მხცოვან წინამძღოლს დანი ქრივენს, ვის ხელაწძლავადაც „სოვეცკი სპორტი" და მსოფლიოს „პროგრესული" პრესა ათწლეულების მანძილზე სიტყვებს არ იშურებდნენ, მან ამ გაზმაურებული ამბების თაობაზე აზრის გამოთქმა არ ისურვა.

# გულშემატკივრის ცნობარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველ ეგვიპტეში საკულტო ყოფის ერთ-ერთ აღიარებულ ფორმად რბენა ითვლებოდა. იქვე ფართოდ იყო გავრცელებული მუშტი-კრივი და ხის ჯოხებით ფარიკაობა. მოძრაობით ჩვევებს ეგვიპტელები უმეტესწილად, საცეკვაო ელემენტებით ალამაზებდნენ, რითაც ხაზს უსვამდნენ მათს ემოციურ და სანახაობრივ საწყისებს.

საბერძნეთმა კაცობრიობას აჩუქა ყველაზე გრანდიოზული სპორტული სანახაობა — ოლიმპიური თამაშები.

ხმელთაშუაზღვისპირეთში დასაბამიდან ცნობილი იყო „ხარებთან თამაში" — მახობრივი გართობის მიმზიდველი და ერთობ სახიფათო ფორმა.

რომაელებს ადამიანის ცხოვრება არსებობისთვის დაუნდობელ ბრძოლად მიაჩნდათ. და, რათა ეს აზრი ხალხში დაემკვიდრებინათ, გლადიატორთა სისხლიანი ბრძოლა გამოიგონეს.

შუა საუკუნეების ევროპაში რაინდთა ტურნირები ახალგაზრდობის ფიზიკური სრულყოფის უპირველეს საშუალებად ითვლებოდა.

ადამიანი თავისი ფიზიკური შესაძლებლობებისა და უნარის გამოსახატავად მუდამ ეძებდა მეტ-ნაკლებად სრულყოფილ საშუალებებს. ამაში მას დიდ დახმარებას უწევდა სპორტი.

პირველი ჩანაწერი სპორტის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ჩვენს წელთაღრიცხვამდე 776 წელს გაკეთდა. ეს ანტიკური ოლიმპიადების დაბადების თარიღია.

მერე სხვა კონკრეტული თარიღები მოდის:

**1299** წელი. ინგლისში შეიქმნა „ბოულინგის" პირველი კლუბი.

**1801** წელი. ლონდონის მახლობლად, ქალაქ რაგბიში, მძლეოსანთა პირველი შეჯიბრება მოეწყო. მოგვიანებით, იქვე საფუძველი ჩაეყარა ფეხბურთელთა და მორაგბეთა პირველ ოფიციალურ შეჯიბრებას.

**1869** წელი. საფრანგეთში, რუან-პარიზის გზატკეცილზე, პირველი ველორბოლა გაიმართა.

და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

სპორტის ისტორია მყუდრო და აკადემიურ კაბინეტებში არ იწერებოდა. ამ ისტორიას სხვადასხვა ხალხისა და ეპოქისთვის დამახასიათებელი სოციალური წინამძღვრები აქვს და, ამდენად, ადამიანთა ურთიერთობის ერთ დიდ სფეროს წარმოადგენს.

მაგრამ სპორტის ნებისმიერი სახეობა, ამავე დროს, ერთგვარად დამოუკიდებელი სამყაროა — თავისი ყოველდღიური პრობლემებით, ჭირითა და ლხინით, რომელსაც ამავე დროს აქვს საკუთარი ცხოვრება და ისტორია. წერილების ციკლი, დღეს რომ გაზეთში ვიწყებთ, ამ ისტორიის უმთავრესი თარიღების გახსენებას ისახავს მიზნად.

სპორტში ზოგჯერ გამოყოფენ მთავარ და მეორეხარისხოვან სახეობებს. ასეთი კლასიფიკაცია ხელოვნურია და არცთუ მართებული. ჩვენს ციკლში სპორტის სახეობები ანბანური თანამიმდევრობით იქნება განლაგებული, რაც უფრო სამართლიანად მიგვაჩნია.

ა

## აკრობატიკა

აკრობატიკას ლექსიკონში სამი სხვადასხვა, მაგრამ მაინც იდენტური განმარტება აქვს: ტანვარჯიშული ტიპის ფიზიკურ ვარჯიშთა ერთობლიობა, საცირკო ხელოვნების ჟანრი და სპორტის სახეობა.

მას ზოგადი განსაზღვრებაც შეიძლება მოეუნახოთ. ენათმეცნიერი, მაგალითად, იტყვის, რომ აკრობატიკა ბერძნული სიტყვაა და „ფეხის წვერებზე მოსიარულეს" ნიშნავსო; ისტორიკოსს შეუძლია დაამატოს, რომ აკრობატს ძველ ელინელ ათლეტს უწოდებდნენ, რაც კარგად არის ასახული ანტიკურ სამკაულებზე, თასებზე, სასმისებზე. აკრობატიკაზე აზრის გამოთქმა ხელოვნებათმცოდნესაც შეუძლია. საქმე ის გახლავთ, რომ აკრობატი, პირველ ყოვლისა, მსახიობია, ხელოვანი, რომელიც ძველი რომის ქუჩებსა და მოედნებზე ნატიფი ოსტატობით ხიბლავდა ხალხს (სხვათა შორის, მსგავსი სანახაობა თბილისშიც ყოფილა გავრცელებული. გაბმულ თოკზე მოთამაშეს, მაგალითად, ჩვენებურად მუშაითს უწოდებდნენ).

ჰომეროსს თავის უკვდავ „ოდისეაში" აღწერილი აქვს ლხინი, რომელზეც ორი აკრობატი შეკრებილთ აოცებდა სიმკვირცხლით, მოქნილობითა და სილამაზით. პლასტიკური აკრობატული ვარჯიშები ძველი მხატვრების საყვარელი თემა იყო. ამ ჟანრის გამოსახულებანი უხვადაა ნაპოვნი საბერძნეთის, ინდოეთის, ნიგერიის ტერიტორიებზე გათხრილი ანტიკური სასახლეების კედლებზე.

იყო დრო, აკრობატიკა ეშმაკისეულ გართობად მიაჩნდათ. მას კანონის მთელი სიმკაცრით დევნიდა ეკლესია და ხელისუფლება, მაგრამ იგი მაინც არსებობდა და ფორმის სრულყოფის მიზნით ახალი ვარჯიშებითა და ილეთებით მდიდრდებოდა. დაახლოებით ამ პერიოდში შეიქმნა ორი ფუნდამენტური ნაშრომი აკრობატიკის ხელოვნებაზე. ერთი მათგანი — „ტანვარჯიშული ხელოვნების შესახებ" — 1573 წელს გამოიცა, მეორე — „დიალოგები ხტომებზე" — ოცდაექვსი წლის შემდეგ.

სპორტის სპეციალისტებმა ეს ყველაფერი, ცხადია, იციან. ამიტომაც აკრობატიკა მათ ტანვარჯიშის ნაწილად მიაჩნიათ, თავისი ურთულესი ხტომებით, თავბრუდამხვევი მალაყებითა და ბრუნებით. სპორტული აკრობატიკა სწორედ ამ სპეციფიკის გათვალისწინებით იყოფა დამოუკიდებელ ხტომებად, წყვილთა, შერეულ წყვილთა და ძალისმიერ-ჯგუფურ ვარჯიშებად. სხვათა შორის, ბატუტზე ხტომაც ადრე აკრობატიკის ნაწილი იყო, სანამ საბოლოოდ გამოეყოფოდა მას და ცალკე სახეობად ჩამოყალიბდებოდა.

მდიდარი წარსულის მიუხედავად, აკრობატიკა მაინც სპორტის ახალგაზრდა სახეობა გახლავთ. ახალგაზრდაა იგი იმიტომ, რომ ევროპის მასშტაბის პირველი საერთაშორისო შეჯიბრება 1957 წელს გაიმართა; კიდევ იმიტომ, რომ სპორტული აკრობატიკის საერთაშორისო ფედერაცია მხოლოდ 1973 წელს შეიქმნა; დაბოლოს იმიტომ, რომ დამფუძნებელი მსოფლიო ჩემპიონატი აკრობატიკაში 1974 წელს ჩატარდა. უძველესი, და ამავე დროს, ახალგაზრდა, ჩვენი თანამედროვე სპორტი! ამ პარადოქსის თავი და თავი ტანვარჯიში გახლავთ, რომლის ჩრდილქვეშაც რჩებოდა იგი საუკუნეების მანძილზე.

აკრობატიკა იმთავითვე პოპულარული დისციპლინა იყო საქართველოში. ჩვენი აკრობატებიც თავიდანვე ლიდერთა შორის აღმოჩნდნენ საკავშირო თუ საერთაშორისო ასპარეზზე. ამ მხრივ ნიშანდობლივია თუნდაც ის, რომ ერთ-ერთ პირველ საკავშირო ჩემპიონატში (1939 წელი) გამარჯვებულთა სიაში საქართველოს სპორტსმენთა გვარებსაც ამოიკითხავთ (მიხეილ ქელეხსაშვილი, თეიმურაზ მაყაშვილი, რუდოლფ ემელიანოვი და კარო ვართანოვი), მათ პირველი ადგილი დაიკავეს აკრობატიკის ყველაზე ძნელ და საპატიო (ამავე დროს, პოპულარულ) სახეობაში — ჯგუფურ ძალისმიერ ვარჯიშში. ნიშანდობლივია ისიც, რომ ჯერ კიდევ 1980 წლის მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებულთა შორის იყო საქართველოს აკრობატ ქალთა სამეული ნანა კიკილაშვილის, მანანა მნათობიშვილისა და მაია შილაკაძის შემადგენლობით. ტრადიცია მას შემდეგაც წარმატებით გრძელდება და საქართველოს სპორტსმენები ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ საკავშირო და მსოფლიო ჩემპიონატებში. ამის დასტურად საკმარისია გავიხსენოთ ქალთა დღემდე მოქმედი სამეული — ნატალია ანისიმოვა, ინგა გიორგობიანი და სვეტლანა მაკარიჩევა. არის რაღაც კანონზომიერება იმაში, რომ საქართველოს საერთაშორისო კლასის აკრობატები ჰყავს.

რუბრიკა მიჰყავს ნოდარ გუგუშვილს

საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში, რომელმაც მრავალი დაძაბული და საინტერესო ორთაბრძოლის მოწმე გაგვხადა, უკვე ისტორიის კუთვნილებაა. გამოვლინდნენ პერსპექტიული, საინტერესო კლუბები თუ ცალკეული ფეხბურთელები.

# პირველი ეროვნული ჩემპიონატი ციფრებში



განვლილმა ასპარეზობამ სტატისტიკის მოყვარულებს მრავალი საინტერესო თემა მოგვცა. ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები აღებულია ჩემპიონატის მატჩების ოქმებიდან. სამწუხაროდ, ეს ოქმები არ არის დაზღვეული ხარვეზებისგან, მაგრამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ზრუნავს ამ ნაკლის გამოსწორებისთვის და იმედია მომავალი სეზონიდან ვითარება შეიცვლება.

ჩემპიონატში დაგეგმილი 306 მატჩიდან ჩატარდა 295. გატანილია 849 გოლი. ეს საშუალოდ ერთ მატჩზე შეადგენს 2,88 გოლს, რაც საკმაოდ მაღალი შედეგია. შედარებისთვის: სსრკ 1990 წლის ჩემპიონატის შედეგების მიხედვით ეს მაჩვენებელი შეადგენდა 2,33 გოლს. ყველაზე მეტი გოლი გაიტანა ჩემპიონმა — თბილისის „იბერიამ" — 91. მომდევნო ადგილზე არიან ჩემპიონატის პრიზიორები: — ლანჩხუთის „გურია" — 73 გოლი, რუსთავის „გორდა" — 60 გოლი. ყველაზე ნაკლები გოლი აუტსაიდერებზე მოდის. ცხინვალის „ლიახვმა" გაიტანა 11 ბურთი, ხოლო ოჩამჩირის „ამირანმა" — 33. ყველაზე საიმედო დაცვა ჰყავდა ლანჩხუთის „გურიას", რომელმაც თავის კარში მხოლოდ 20 გოლი გაუშვა. შემდეგ ადგილებზე არიან: თბილისის „იბერია" — 23 გაშვებული გოლი, ბათუმის „ბათუმი" — 28. ყველაზე მეტი გოლი გაუშვეს: ცხინვალის „ლიახვმა" — 105, გალის „მზიურმა" — 69, თბილისის „შევარდენი 1906"-მა — 64.

843 გოლი გაიტანა 203 ფეხბურთელმა (6 ბურთი მოთამაშეებმა საკუთარ კარში შეაგდეს). 23-23 გოლით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირების სახელი დაიმსახურეს: გია გურულმა („იბერია", 25 მატჩი; საშუალოდ 0,92 გოლი მატჩში) და მამუკა ფანცულაიამ („გორდა", 33 მატჩი; 0,7 გოლი). გატანილი ბურთების რაოდენობით მომდევნო ადგილებზე არიან: ო.კორღალიძე — 21 გოლი (31 მატჩი; საშუალოდ 0,68 გოლი), დ.მახარაძე — 18 გოლი („კოლხეთი 1913", 32 მატჩი; 0,56 გოლი).

ჩემპიონატის მატჩებში მონაწილეობა მიიღო 393 ფეხბურთელმა. მათგან 17-მა ითამაშა ორი კლუბის შემადგენლობაში. ყველაზე ნაკლები ფეხბურთელი გამოიყვანეს „ბათუმმა" — 19, ლანჩხუთის „გურიამ" და ოზურგეთის „მერცხალმა" — 20-20. ყველაზე მეტი ფეხბურთელი ათამაშეს: „ქუთაისმა" — 27, ცხინვალის „ლიახვმა" — 26. ოჩამჩირის „ამირანმა" და წყალტუბოს „სამგურალმა" — 25-25.

შეჯიბრების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე იყო რუსთავის „გორდას" წევრი, 1973 წელს დაბადებული კახაბერ ალადაშვილი, ხოლო ყველაზე ხნიერი — ზუგდიდის „ოდიშის" მოთამაშე ვლადიმერ თუთბერიძე, რომელიც 1953 წელს არის დაბადებული. გუნდებს შორის ყველაზე ახალგაზრდული იყო ცხინვალის „ლიახვი", რომლის ფეხბურთელთა საშუალო ასაკი 21,2 წელს შეადგენდა. ყველაზე ასაკოვანი გუნდი იყო ხობის „კოლხეთი" — 25,6 წელი. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატის მონაწილე ფეხბურთელთა საშუალო ასაკი არ აღემატება 23,6 წელს. ასეთი მაჩვენებელი ალბათ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას არ ექნება.

ეროვნული ჩემპიონატის მსვლელობაში აღინიშნა 24 სხვადასხვა ანგარიში. ყველაზე ხშირი იყო ანგარიში 1:0. ასეთი შედეგით დამთავრდა 60 მატჩი. ანგარიშით 2:1 და 2:0 დასრულდა 33-33 შეხვედრა.

ყველაზე მეტი — 11 გოლი გავიდა „ქუთაისისა" და გორის „დილას" შეხვედრაში — 8:3.

ერთ მატჩში 3 და მეტი გოლის გატანა ფეხბურთელებმა შეძლეს 18-ჯერ. 4-4 გოლი გაიტანეს: ო.კორღალიძემ („გურია"), გ.კილასონიამ, მ.ფანცულაიამ (ორივე — „გორდა"), მ.ქობალიამ („ამირანი"), დ.მახარაძემ („კოლხეთი 1913", ფოთი).

საკუთარ კარში გოლის გატანა „შეძლეს" — გ.კეტაშვილმა („იბერია"), დ.ღურწკაიამ („მზიური"), ბ.ბერაძემ, გ.ჯანელიძემ (ორივე — „სამგურალი"), დ.კუდინოვმა („გორდა"), ზ.ხამაშურიძემ („მერცხალი").

34 მატჩი შეუცვლელად არ ჩაუტარებია არც ერთ მოთამაშეს. ამის შანსი ჰქონდა ორ ფეხბურთელს: ზ.ფარულავას („ცხუმი") და გ.ჭანტურიას („ოდიში"), რომლებმაც 33-33 შეხვედრაში ითამაშეს, მაგრამ მათ კლუბებს 34-ე მატჩი არ ჩაუტარებიათ ცხინვალის „ლიახვის" გამოუცხადებლობის გამო. 34-34 მატჩი შეცვლებით ჩაატარეს — ზ.რევიშვილმა („იბერია"), დ.ჩხეტიამ („მზიური"), გ.ვაშაკიძემ („სანავარდო"), გ.გიორგაძემ და ზ.თოფურიამ (ორივე — „კოლხეთი 1913").

ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო 39 მეკარემ. მათგან 20-მა ჩაატარა მატჩების 50 პროცენტი და მეტი. ერთი მეკარით დაამთავრა ტურნირი ზუგდიდის „ოდიშმა" — გ.ჭანტურიამ შეუცვლელად ჩაატარა მთელი შეჯიბრება. იმ მეკარეთაგან, რომლებსაც ჩატარებული აქვთ შეხვედრების 50 პროცენტი და მეტი, ყველაზე საიმედოდ თამაშობდნენ: ა.ქანთარია („გურია") — 0,56 მიღებული გოლი 1 მატჩში (32 მატჩი, 18 გაშვებული გოლი), ზ.ხაპოვი („იბერია") — 0,59 (შესაბამისად 29, 17). ამ მხრივ ყველაზე ცუდი მაჩვენებლები ჰქონდა: თ.სანაკოევს („ლიახვი") — 4,11 (17 მატჩი, 70 გაშვებული გოლი).

ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ჯგუფის მატჩებს მოემსახურა 83 მსაჯი, მათგან მთავარ მსაჯად — 29. არბიტრის მოვალეობა ყველაზე მეტ მატჩში შეასრულეს: სოხუმელმა ა.მილჩენკომ — 23, თბილისელმა ე.სილაგავამ — 22, თ.ლაცაბიძემ — 21, მ.მალაღურიძემ — 20. მსაჯებად ყველაზე ხშირად იყვნენ: ვ.ეჯიბია — 24-ჯერ, ა.შილაკაძე (ორივე — თბილისი) — 23-ჯერ, ო.გაგუა (სოხუმი) — 22-ჯერ, ე.სილაგავა — 21-ჯერ.

ჩემპიონატის მანძილზე მინდვრიდან ფეხბურთელები გააძევეს 19-ჯერ, ხოლო გააფრთხილეს 241-ჯერ. ყველაზე დისციპლინიანი გუნდები იყვნენ: გალის „მზიური", ფოთის „კოლხეთი 1913", „ბათუმი", რომელთა ფეხბურთელები 9-9-ჯერ გააფრთხილეს. ყველაზე უდისციპლინო კლუბი იყო: წყალტუბოს „სამგურალი" — 4 გაძევება, 23 გაფრთხილება; ყველაზე უდისციპლინო მოთამაშეები იყვნენ — მ.ხურცილავა („სამგურალი") — 2 გაძევება, 2 გაფრთხილება, ი.გოგაძე („სანავარდო") — 1 გაძევება, 5 გაფრთხილება.

დანიშნული 116 პენალტიდან გავიდა 96. ყველაზე მეტი 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა შეასრულეს თბილისის „იბერიის" ფეხბურთელებმა — 13, რომელთაგანაც გამოიყენეს 12. თერთმეტივე პენალტი გამოიყენა „ბათუმმა". პენალტი არ დაურტყამს ხაშურის „ივერიას".

ბათუმელმა ტ.დურდიაძემ 11-დან 11 პენალტი გაიტანა მეტოქეთა კარში.

გათამაშების 295 მატჩს დაესწრო 1823326 მაყურებელი, საშუალოდ 6181 ერთ შეხვედრაზე. შინ ყველაზე მეტი მაყურებელი დაესწრო თბილისის „იბერიის" მატჩებს — 278660 კაცი (საშუალოდ 15481). შემდეგ მოდიან: ხობის „კოლხეთი" — 172500 კაცი (საშუალოდ 10147 ერთ შეხვედრაზე), „ქუთაისი" — 12500 (საშუალოდ 7656). აქ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ქალაქის სტადიონების დისკვალიფიკაციის გამო გუნდები მასპინძლის როლში გამოდიოდნენ ნეიტრალურ სტადიონზე.

თბილისის „იბერიამ" მხოლოდ ოთხ მატჩში ვერ შეძლო გოლის გატანა მეტოქეთა კარში, „ქუთაისმა" 6-ში. ამ მაჩვენებლით ყველაზე ცუდი შედეგები ჰქონდათ სამტრედიის „სანავარდოს" და ხაშურის „ივერიას" (14-14 მატჩი).

ლანჩხუთის „გურიას" ჩემპიონატის 20 მატჩში საკუთარ კარში გოლი არ მიუღია, ბათუმის „ბათუმს" — 17-ში, თბილისის „იბერიას" და რუსთავის „გორდას" — 15-15 მატჩში. მეკარეებს შორის ამ მხრივ საუკეთესო შედეგები აქვთ: ა.ქანთარიას („გურია") — 32 ჩატარებული მატჩიდან 20-ში არ გაუშვია გოლი; ზ. ხაპოვს („იბერია") — 14-ში, ა.მეშკოვს („გორდა") — 12-ში; ნ. ჩხეიძეს („ქუთაისი") — 11 მატჩში.

ზედიზედ 14-14 მატჩში არ უწვნევიათ დამარცხება თბილისის „იბერიას" და ლანჩხუთის „გურიას". ამ პერიოდში „იბერიამ" დააგროვა 38 ქულა (12 მოგება, 2 ფრე), „გურიამ" — 32 (9 მოგება, 5 ფრე). 10-10 მატჩი ჩაატარეს წააგებლად რუსთავის „გორდამ" (აქედან 9 მატჩი მოიგო ზედიზედ, რაც ჩემპიონატის რეკორდია) და თბილისის „იბერიამ". ზედიზედ 24 მატჩი წააგო ცხინვალის „ლიახვმა", 9 — ხაშურის „ივერიამ", 6 — თბილისის „შევარდენი 1906"-მა.

პირველ და მეორე წრეში გუნდებს ქულების შესაბამისი რაოდენობა გააჩნდათ: „იბერია" — 37, 44 ქულა; „გურია" — 36,36; „გორდა" — 36,33; „ქუთაისი" — 31,34; „კოლხეთი 1913" (ფოთი) — 27,35; „ბათუმი" — 37,24; „ცხუმი" — 28,21; „ოდიში" — 20,26; „მერცხალი" — 29,14; „დილა" — 24,18; „კოლხეთი" (ხობი) — 28,13; „სანავარდო" — 22,18; „მზიური" — 14,26; „სამგურალი" — 15,24; „ივერია" — 15,23; „შევარდენი 1906" — 22,16; „ამირანი" — 12,25.

პირველი წრის შემდეგ სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესა 9 გუნდმა, მათ შორის 6-მა მხოლოდ თითო ადგილით წინ გადაინაცვლა, დანარჩენმა სამმა კი — მნიშვნელოვნად: მეცხრედან მეხუთეზე გადაინაცვლა ფოთის „კოლხეთი 1913"-მა, მე-13-დან მე-8 ადგილზე — ზუგდიდის „ოდიშმა", მე-16-დან მე-13 ადგილზე — გალის „მზიურმა". ხუთმა გუნდმა გაიუარესა პირველი წრის სატურნირო მდგომარეობა, ამასთან მათგან მხოლოდ ერთმა გადაიწია ერთი ადგილით უკან, დანარჩენების დანაკარგები მნიშვნელოვანი იყო: პირველიდან მეექვსეზე გადაინაცვლა „ბათუმმა", მეექვსედან მეცხრეზე — „მერცხალმა", მეშვიდედან მეთერთმეტეზე — ხობის „კოლხეთმა", მეთერთმეტედან მეთექვსმეტემდე — „შევარდენი 1906"-მა. დანარჩენი ოთხი გუნდი იგივე ადგილზე დარჩა.

თბილისის „იბერიამ", როგორც პირველ, ისე მეორე წრეში, ყველაზე მეტი გოლი გაიტანა, შესაბამისად — 47 და 44 გოლი. ორივე წრეში მეორე იყო ლანჩხუთის „გურია" — 35 და 38 გოლი. პირველ წრეში ყველაზე საიმედო დაცვა ჰყავდათ ლანჩხუთის „გურიას" (6 მიღებული გოლი) და ბათუმის „ბათუმს" (7). მეორე წრეში ამ მაჩვენებლით საუკეთესონი იყვნენ — „იბერია" (11 მიღებული გოლი) და ფოთის „კოლხეთი 1913" (12).

შეცვლაზე გამოსული ფეხბურთელებიდან ყველაზე შედეგიანები იყვნენ: რ.ტიბუა („ოდიში") — 5 გოლი, კ. კაჭარავა, მ. ყაველაშვილი (ორივე — „იბერია"), თ.ფაიქიძე („ქუთაისი") — 3-3 გოლი.

**რევაზ შენგელია**

### საქართველოს პირველ ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე მოწვეულ ფეხბურთელთა სია (უმაღლესი ჯგუფი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 1.ზაურ ხაპოვი (რსფსრ) | „იბერია" | მეკარე | 29 (17) |
| 2.ალგიმანდას ბრიაუნისი (ლიტვა) | „ივერია" | მეკარე | 11 (12) |
| 3.რიმას მაჟეიკასი (ლიტვა) | „გურია" | მცველი | 23 |
| 4.ვაიდას პეტრაუსკასი (ლიტვა) | „მზიური" | მცველი | 14 |
| 5.სერგეი შიროკი (ბელორუსია) | „ამირანი" | მცველი | 6 |
| 5.რიმას ვაინეიკისი (ლიტვა) | „ოდიში" | ნახევარმცველი | 14 |
| 7.რობერტას ფრიდრიკასი (ლიტვა) | „გურია" | თავდამსხმელი | 20 11 |
| 8.ვირგილიუს ბალტუშნიკასი (ლიტვა) | „მზიური" | თავდამსხმელი | 19 6 |
| 9.რიჩარდას ზდანჩუსი (ლიტვა) | „ოდიში" | თავდამსხმელი | 18 1 |

შენიშვნა: ბოლო ორ სვეტში მოცემულია ფეხბურთელის ჩატარებული მატჩებისა და გატანილი (ფრჩხილებში — გაშვებული) ბურთების რაოდენობა.

### ბომბარდირები



გია გურული



მამუკა ფანცულაია

ანზორ კოჭლამაზაშვილისა და გია ახალაძის ფოტოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გზა გასავლელი

## „ქართული სპორტი ვერ გამოაკლდება ამ ბრძოლას"



ოლიმპიური ჩემპიონი უმაღლესი ტიტულია სპორტში. ვაჟა კაჭარავა ოლიმპიური ჩემპიონია. ამავე დროს, იგი ცნობილი მწვრთნელიც გახლავთ და აღიარებული სპორტული მოღვაწეც. ვფიქრობთ, სპორტის მოყვარულებისთვის უთუოდ საინტერესო იქნება ამ კაცის შეხედულებები და მოსაზრებანი ქართული სპორტის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. საუბარი, რომლის ჩანაწერსაც ქვემოთ გთავაზობთ, გუშინწინ შედგა „სარბიელის" რედაქციაში.

**ბატონო ვაჟა, ამ სამი წლის წინათ, თუ გახსოვთ, ინტერვიუ ჩამოგართვით, რომელიც არსად არ დაბეჭდილა.**

— მახსოვს, მაგრამ ის ვერ გავიგე, მაინც რატომ არ დაიბეჭდა.

**ქართული სპორტის დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი მაშინ აკრძალული იყო. დაგავიწყდათ?**

— მე, რამდენადაც შემეძლო, ვცდილობდი ის მეთქვა, რასაც ვფიქრობდი და ამის გამო ბევრი უსიამოვნებაც შემხვედრია. სპორტის ჩინოვნიკებს პირდაპირი ხალხი არ უყვარდათ. არადა, ძალაუფლება მათ ხელში იყო, ძალა კი, ხომ იცით, აღმართს ხნავს.

**როგორ ფიქრობთ, დღეს სპორტის ჩინოვნიკებიც და „რიგითი ჯარისკაცებიც" ერთი მიზნისთვის იბრძვიან?**

— დღეს მთელი საქართველო იბრძვის ერთი მიზნისთვის. ეს არის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და თავისუფლება. ცხადია, ქართული სპორტი ვერ გამოაკლდება ამ ბრძოლას. ეგ კი არა, სპორტი ხანდახან წინ უსწრებს პოლიტიკურ პროცესებს და ავანსცენაზე გამოდის. გავიხსენოთ თუნდაც ფეხბურთთან დაკავშირებული ამბები. შარშან ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელმა ყრილობამ, თამამად შეიძლება ითქვას, ისტორიული არჩევანი გააკეთა და ამას, რამდენადაც ვიცი, საერთაშორისო გამოხმაურებაც მოჰყვა.

**მაგრამ, როგორც ამბობენ, ფეხბურთში დამოუკიდებლობის გამოცხადება ეროვნული მოძრაობის დამსახურება უფრო იყო, ვიდრე თვით ფეხბურთის სპეციალისტებისა და მუშაკებისა.**

— ალბათ, ასეც არის, მაგრამ, ჩემი აზრით, ამას პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ ნაბიჯი გადაიდგა და ამით მკაფიოდ გაცხადდა არა მარტო ფეხბურთის, არამედ მთლიანად ქართული სპორტის მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ. ეს შეუქცევადი პროცესია. რაც შეეხება ეროვნულ ჩემპიონატს, ჩემი აზრით, ეს იყო საკმაოდ მაღალი დონის ტურნირი..

**უფრო ადრე არანაკლებ მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა: შეიქმნა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, რომლის აღმასკომის ერთ-ერთი წევრი თქვენც ბრძანდებით...**

— ვიდრე ოლიმპიური კომიტეტი შეიქმნებოდა, საინიციატივო ჯგუფშიც მომიხდა მუშაობა. ჩვენთვის ეს ახალი საქმე იყო და, სანამ თავს მოვაბამდით, არაერთი დაბრკოლება გადაგვეღობა, თუმცა მხარდამჭერიც ბევრი გვყავდა. საერთო ძალისხმევამ ბოლოს კეთილი ნაყოფი გამოიღო.

**მოდით, ამ ამბავს კრიტიკული თვალითაც შევხედოთ. ახლა მე თქვენი ოპონენტის როლში გამოვალ და საზოგადოების იმ ნაწილის მოსაზრებას გაგაცნობთ, რომელიც თვლის, რომ საქართველოში ოლიმპიური კომიტეტი ნაჩქარევად შეიქმნა. ქარტიის თანახმად, ოლიმპიური კომიტეტის შემადგენლობა უმეტესწილად სპორტული ფედერაციების წარმომადგენლებით ყალიბდება. ამავე დროს, სეოკ-ი აღიარებს მხოლოდ დამოუკიდებელ ფედერაციებს. 1989 წლის ოქტომბერში, როცა სეოკ-ის დამფუძნებელი ყრილობა გაიმართა, არც ერთი რესპუბლიკური სპორტული ფედერაცია დამოუკიდებელი არ იყო და ყველა საკავშირო სტრუქტურაში შედიოდა. ხომ არ გეჩვენებათ, რომ ჩვენი ოლიმპიური სახლის მშენებლობა პირდაპირ სახურავიდან დავიწყეთ? ჩემი აზრით, ჯერ ფედერაციებს უნდა დაეხსნათ თავი საკავშირო დიქტატისაგან და შემდეგ ეს პროცესი სეოკ-ის შექმნით დაგვირგვინებულიყო...**

— მე სხვა აზრისა ვარ და არა მგონია, რომ ჩვენი გადაწყვეტილება ნაჩქარევი იყო. საქართველოში ოლიმპიური კომიტეტის არსებობა სტრატეგიულად გამართლებულია. უკვე მივაწვდინეთ ხმა სპორტულ სამყაროს და დღეს ეს არის მთავარი. ანგარიშში უნდა გავუწიოთ სიტუაციას და იმას, რომ ჩვენ უნიკალურ სახელმწიფოში ვცხოვრობთ.

**როგორ ფიქრობთ, ვიდრე საქართველო პოლიტიკურ დამოუკიდებლობას მოიპოვებს, გვაქვს თუ არა საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე დამოუკიდებლად გასვლის შანსი?**

— ამ კითხვაზე ზუსტი და კონკრეტული პასუხის გასაცემად პოლიტიკური გამოცდილებაც უნდა გქონდეს და იურიდიული ცოდნაც. სამწუხაროდ, მე ამის პრეტენზია არა მაქვს. შემიძლია მხოლოდ ვარაუდი გამოვთქვა: ცდა დიდხანს არ მოგვიწევს. უფრო დიდისა და მნიშვნელოვნის დაკარგვის შიშით, საკავშირო ხელისუფლებამ, გამორიცხული არ არის, სპორტი „თავის ნებაზე მიუშვას". მით უმეტეს, მოვლენები ისე განვითარდა, რომ საბჭოთა კავშირისთვის სპორტმა უკვე დაკარგა ძირითადი პოლიტიკურ-სტრატეგიული ფუნქცია, აღარ არსებობს ეგრეთ წოდებული სოციალისტური ბანაკი, აქედან გამომდინარე, საჭიროება იმისა, რომ სპორტის მეშვეობით მსოფლიოს კვლავ „დაუმტკიცო" სოციალიზმის უპირატესობა, კომუნისტური საზოგადოების „უსაზღვრო პოტენცია"... სსრ კავშირის ნაკრებმა თავისი დრო მოჭამა. საბჭოთა გუნდი არასოდეს ყოფილა ეროვნული ნაკრები. ეს იყო, თუ შეიძლება ითქვას, ერების ნაკრები. რუს, უკრაინელ თუ ბელორუს კოლეგებს ვეუბნები: მოდით, შევქმნათ ეროვნული გუნდები, ცალ-ცალკე გამოვიდეთ საერთაშორისო შეჯიბრებებში, ასეც ვსინჯოთ... სხვათა შორის, რუსეთშიც, უკრაინაშიც და ბელორუსიაშიც არიან ძალები, რომლებიც სპორტული სუვერენიტეტისთვის იბრძვიან. ხვალ-ზეგ მათი რიგები უფრო გაძლიერდება და ეს მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი საქმისთვისაც.

**დამეთანხმებით, არანაკლებ მნიშვნელოვანია ჯერ საკუთარ სახლში გამოვნახოთ საერთო ენა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ აქამდე ვერ მოხერხდა სეოკ-ისა და ცალკეული სპორტული ფედერაციების პოზიციების დაახლოება, რაც ოლიმპიური კომიტეტის ამასწინანდელ სესიაზეც დადასტურდა. სეოკ-ის წევრებმა — ფედერაციის წარმომადგენლებმა — მხარი არ დაუჭირეს აღმასკომის მიმართვას, რომელიც სპორტსმენებს, მწვრთნელებს, ფედერაციებს საკავშირო სტრუქტურებიდან გამოსვლისკენ მოუწოდებდა.**

— ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის პოზიცია ასეთია: ჩვენ მხარს ვუჭერთ ფედერაციების დამოუკიდებლობას, მაგრამ ეს უნდა მოხდეს ნებაყოფლობით, ძალდაუტანებლად. ამ პროცესის ხელოვნურად დაჩქარება, ვფიქრობ, სასიკეთოს არაფერს მოიტანს. გულახდილად რომ ვთქვათ, ვშიშობთ, „კარის მიჯახუნებამ" პოლიტიკური აქციის ხასიათი არ მიიღოს და მერე წინ არ დაგვხვდეს. სპორტის ზოგიერთი სახეობისთვის საკავშირო ფედერაციებიდან ერთბაშად გამოსვლა თავდადებას, თავგანწირვასაც კი ნიშნავს. მართალი არ ვიქნებით, თუ ერთი კრიტერიუმით მივუდგებით ყველა სახეობას, ანგარიშში არ გავუწევთ სპეციფიკას.

**საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადზე რა აზრისა ხართ?**

— თუ არ ვცდები, სპარტაკიადა ერთადერთი შეჯიბრებაა, რომელშიც რესპუბლიკების სპორტული დელეგაციები ეროვნული დროშით გამოდიან, გამარჯვებულის პატივსაცემად ეროვნულ ჰიმნს უკრავენ. მაგრამ სპარტაკიადამ ფუნქცია დაკარგა, დისკრიმინაციული წესით ტარდება. რა აზრი აქვს, კომპლექსურ ჩათვლაში ერთმანეთს შეაჯიბრო, ვთქვათ, თურქმენეთი და რუსეთის ფედერაცია? ეს იგივეა, მსუბუქი წონის მოკრივეს მეტოქედ მძიმეწონოსანი დაუყენო წინ. თანაც ასეთი ტურნირები კომპაქტურად, ერთ ქალაქში უნდა ტარდებოდეს, სპარტაკიადა კი იანვარში იწყება და წლის ბოლომდე გრძელდება.

**ერთიც უნდა დავუმატოთ: ეს არის „საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთი ნაწილის სპარტაკიადა", რადგან ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა უარი თქვეს შეჯიბრებაში მონაწილეობაზე — თუ დაგვიანებული არ არის, ალბათ ურიგო არ იქნებოდა, ალტერნატიული კომპლექსური ასპარეზობის მოწყობისთვის გვეზრუნა. ამის თაობაზე უკვე ვწერდით ჩვენს გაზეთში, კონკრეტული წინადადებით მივმართეთ რესპუბლიკის სპორტკომიტეტს. გადაუდებელ საქმედ მიგვაჩნია აგრეთვე ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, მოლდავეთისა და სხვა რესპუბლიკების სპორტულ ორგანიზაციებთან კონტაქტების გაფართოება. ერთიანი ძალით უფრო გაიოლდება მიზანთან მიახლოება.**

— ბალტიისპირა რესპუბლიკებთან უკვე დავამყარეთ საქმიანი ურთიერთობა. კონტაქტები გვაქვს აგრეთვე დადებული იმ რესპუბლიკებთან, სადაც უკვე არსებობს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები. სხვათა შორის, მათი წარმომადგენლები ჩვენს სესიაზე მოვიწვიეთ, მაგრამ დაძაბული პოლიტიკური ვითარების გამო თბილისში არავინ ჩამოსულა. ჯერჯერობით ვერ ხერხდება ალტერნატიული სპორტული შეჯიბრების მოწყობა, არადა, არის საინტერესო წინადადებანი. მაგალითად, შეიძლება გაერთიანდეს ბალტიისა და შავი ზღვის თამაშები, მოეწყოს სხვადასხვა სახის ტურნირები.

**სეოკ-ის სესიამ სხვებთან ერთად მიმართვა გაუგზავნა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტსაც, თუმცა, შეიძლება ითქვას, წინასწარ ცნობილია, იქიდან რა პასუხიც მოვა. ოლიმპიური ქარტიის თანახმად, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის აღიარება ჯერჯერობით ვერ მოხერხდება. ხომ არ აჯობებს ჯერ საკავშირო კომიტეტთან გავარკვიოთ ურთიერთობა?**

— ჩვენ, ალბათ უნდა ვიმოქმედოთ პრინციპით: ერთი დაკაკუნებით თუ არ შეგიშვებენ, მეორეჯერ, თუ საჭირო გახდა — მესამეჯერაც უნდა დააკაკუნო. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ადრე თუ გვიან იძულებული გახდება ყურადღება მიაქციოს ჩვენს მიმართვებს. აქ ერთიც უნდა ითქვას: საერთაშორისო სარბიელზე გზის გასაკაფავად მარტო ჩვენი ძალები საკმარისი არ იქნება. იმედი გვაქვს, ქართული სპორტის დამოუკიდებლობის საკითხი რესპუბლიკის ახალი ხელისუფლების მსჯელობის საგნად იქცევა. მთავრობის მხარდაჭერა უთუოდ გაგვიადვილებს ბრძოლას.

**თქვენ ფეხბურთის ფედერაცია ახსენეთ. შარშან გაიმართა პირველი ეროვნული ჩემპიონატი. სპორტის უმეტეს სახეობებში ალბათ გაგვიჭირდება ამ დონის ტურნირების მოწყობა.**

— რა თქმა უნდა, ფეხბურთელთა ჩემპიონატის უმაღლეს ჯგუფში თვრამეტი გუნდი გამოდიოდა. ფრენბურთში, მაგალითად, თვრამეტ გუნდს კი არა, თვრამეტ ხეირიან სპორტსმენსაც ვერ შეკრებ. ამიტომ ერთი მოდელი არ გამოგვადგება. ერთი კი აუცილებლად უნდა გაკეთდეს: ფეხბურთის მსგავსად, სხვა სპორტულ ფედერაციებსაც სათავეში უნდა ჩაუდგნენ პროფესიონალები, რომლებიც თვითონ გადაწყვეტენ, რა გზით განვითარდეს ესა თუ ის სახეობა... აშშ-ს ნაკრები ისე გახდა მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი, რომ ამ ქვეყანაში ეროვნული ჩემპიონატი საერთოდ არ გამართულა.. საქართველოში ფრენბურთში ეროვნული ჩემპიონატი შეიძლება გაიმართოს, მაგრამ, ცხადია, დაბალი დონისა იქნება.

**თქვენ უკვე შვიდი წელია, საქართველოს ფრენბურთელთა ნაკრებს ხელმძღვანელობთ...**

— თბილისში რომ ჩამოვედი, სერიოზული გეგმები მქონდა, მაგრამ... თუ დამიჯერებთ, ფრენბურთისთვის ვერ მოვიცალე. ძირითადად სხვისი შეცდომების გასწორებას ვუნდები. ერთი სპორტული დარბაზი გვაქვს და, მგონი, იქედანაც გვითხოვენ. ჩემი აზრით, კარდინალურად უნდა შეიცვალოს დამოკიდებულება სპორტის ცალკეული სახეობებისადმი. ეგრეთ წოდებული პრივილეგიური სახეობები გასაქანს არ აძლევენ დანარჩენებს. ერთ ამბავს მოგახსენებთ: ამ რამდენიმე წლის წინ სპორტის ერთ მაღალი რანგის ხელმძღვანელთან სერიოზული საუბარი მქონდა. ვეკითხები: თქვენს სამუშაო განრიგში ფრენბურთს რომელი ადგილი უჭირავს-მეთქი. მიპასუხა, ორმოცდამეჩვიდმეტეო. აი, ერთი ადგილით წინ გადაწიეთ და პირობას გაძლევთ, ჩვენ ხუთი ნაბიჯით დავწინაურდებით-მეთქი. ვერაფრით ვერ დავადგინე, რამდენი ფული იხარჯება რესპუბლიკაში ფრენბურთის განვითარებისთვის. არადა ვიცი, რომ სოლიდური თანხა გამოვა. ნახევარიც რომ გადასცენ ფედერაციის, დამერწმუნეთ, ფრენბურთის საქმე წინ წავა.

ესაუბრა
ელგუჯა ბერიშვილი.

გია ახალაძის ფოტო.

# დაეწევა ადამიანი გეპარდს?

„ამერიკელმა კარლ ლუისმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა და გადააჭარბა ადრინდელ მიღწევას, რომელიც... გეპარდს ეკუთვნოდა". ასეთი ცნობა ახლა აღარავის გააკვირვებს. ჩვენ უკვე დიდი ხანია შევეჩვიეთ ყოველგვარ სასწაულებს, მაგრამ ჩავუფიქრდეთ: შესაძლებელია მსგავსი რამ? უნდა ვივარაუდოთ, რომ სპრინტის მეფეს გამარჯვების არანაირი შანსი არა აქვს.

რეალურ ფაქტებს დავხედოთ და მყის დავრწმუნდებით ამაში. ერთმანეთის პირისპირ ადამიანისა და ცხოველთა მოდგმის წარმომადგენლები რომ დაგვეყენებინა, მძლეოსანთა და მოცურავეთა მრავალი ბრწყინვალე რეკორდი დაიჩრდილებოდა, იმდენად უდავოა ცხოველთა ფიზიკური უპირატესობა ადამიაზე. ეს არცაა გასაკვირი, ისინი თავიანთ ჩვევებს სპორტული მიზნების მისაღწევად კი არა, სიცოცხლისათვის ბრძოლის პროცესში ხვეწდნენ. თქვენ წარმოიდგინეთ, იმისათვის, რომ გეპარდის კლანჭებს დააღწიოს თავი, რუხი ანტილოპა იძულებულია 12-მეტრიანი ნახტომებით ირბინოს. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ არც გეპარდს სურს მშიერი დარჩენა, ძნელი წარმოსადგენი არაა, თუ რა სისწრაფით უწევს სირბილი მას.

- ბუნება საუკუნეების მანძილზე ხვეწდა ცხოველთა მოძრაობით თვისებებს და მხოლოდ ყველაზე ძლიერთა ხვედრი იყო ამ ულმობელ ბრძოლაში გადარჩენა. გრძელი და ღონიერი უკანა კიდურებისა და კუდის წყალობით ახერხებს კენგურუ მდევართაგან თავის დაღწევას. საათში 30 კილომეტრი — აწქთია, ჩვეულებრივ, კენგურუს რბენის სისწრაფე. თუმცა, მოკლე მანძილებზე ეს მაჩვენებელი საათში 50 კილომეტრსაც აღწევს. კენგურუს სისწრაფეში ბევრად არც ერთი შეხედვით ზანტი და მოუქნელი ჟირაფი ჩამორჩება. განგებამ ფრენის უნარი არ მისცა სირაქლემას, სამაგიეროდ ისეთი მძლავრი ფეხებით დააჯილდოვა, რომლებსაც საათში 80 კილომეტრი სიჩქარის განვითარება შეუძლია. დროს ამავე მონაკვეთში ათი კილომეტრით მეტის გარბენა შეუძლია ანტილოპა-გნუს.

მაგრამ ძუძუმწოვართა შორის „აბსოლუტურ ჩემპიონად" სპრინტში გეპარდი ითვლება. აღნუსხულია შემთხვევა, როდესაც მან 20 წამში 650 მეტრი გაირბინა. ეს კი... საათში 120 კილომეტრია. ადამიანს ვინ ჩივის, გეპარდი თავისი ერთ-ერთი მონაცემით სპორტულ ავტომობილსაც სჯობნის: 2 წამის განმავლობაში ადგილიდან მას შეუძლია საათში 72 კილომეტრი სიჩქარის განვითარება. შედარებისათვის გავიხსენოთ, რომ ადამიანი ყველაზე სწრაფად 60 და 100 მეტრს დისტანციებზე დარბის, კარლ ლუისმა კი სპრინტში თავისი რეკორდის დამყარებისას, საათში „მხოლოდ" 36 კილომეტრი სიჩქარის განვითარება შეძლო.

20 წელიწადზე მეტია ხელშეუხებელია ბობი ბიმონის რეკორდი სიგრძეზე ხტომაში — 8 მეტრი და 90 სანტიმეტრი. მაგრამ ეს სასაცილოც კია ჩვეულებრივი... რწყილის ნახტომთან, რომელიც თავის ზომასთან შედარებით 60-ჯერ უფრო შორს ხტება. თუ დავიანგარიშებთ, გამოდის, რომ რწყილივით ხტომის უნარის მქონე ორი მეტრი სიმაღლის სპორტსმენი 120 მეტრზე უნდა ხტებოდეს.

რუხი ანტილოპა, როგორც ზემოთ ვახსენეთ, 12 მეტრზე ხტება. მეორე ადგილზეა კენგურუ, რომელიც თავისი 90-კილოგრამიანი სიმძიმის სხეულით 9 მეტრის მანძილს ფარავს ერთი ნახტომით. ამ მხრივ კარგი მონაცემები აქვს აგრეთვე აფრიკულ ანტილოპა—იმპალას — 7,5 მეტრი.

მსოფლიო რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში კუბელ სოტომაიორს ეკუთვნის — 2 მეტრი და 45 სანტიმეტრი. მაგრამ ეს მიღწევაც მოკრძალებულია კენგურუს ნახტომთან შედარებით, რომლის შედეგია 3 მეტრი. ამერიკული პუმა კი ერთი მეტრით უფრო მაღლა ხტება. ძუძუმწოვართა შორის შეუდარებელი შედეგი აქვთ დელფინებს: მათ 6 მეტრი სიმაღლის დაძლევა შეუძლიათ.

თუ ხმელეთზე ადამიანებს ცოტად თუ მეტად მაინც შეუძლიათ წინააღმდეგობის გაწევა ცხოველებისთვის, წყალში ისინი სრულიად უიმედოდ გამოიყურებიან. ასმეტრიან დისტანციაზე თავისი სარეკორდო გაცურვისას ამერიკელმა მეტ ბიონდიმ საათში საშუალოდ 7,26 კმ სიჩქარე აჩვენა, არადა, ამავე სიგრძის მონაკვეთს კუც კი საათში 35 კმ სიჩქარით დაცურავს. წყლის სამეფოს უდავო „ლიდერია" ზიმშერი, რომელსაც შეუძლია საათში 135 კმ სისწრაფით ცურვა. შედარებით ნელა დაცურავს დელფინი — 60 კმ საათში. ვერც ერთი თანამედროვე საზღვაო ლაინერი ვერ დაეწევა მრავალტონიან ვეშაპს, რომელიც საათში 40 კილომეტრს ავითარებს. რვაფეხას სისწრაფე 55 კმ სთ-ია, პინგვინისა — 37.

ახალ-ახალ მიღწევებს გამოდევნებული კაცობრიობა ყოველგვარ „ხრიკებს" ხმარობს: ხტება ჭოკით, ცურავს ლასტებით, დაფრინავს დელტოპლანით... ერთი სიტყვით, დედაბუნება ახალ ვარიანტებს სთავაზობს ადამიანს მისი შესაძლებლობების გამოსავლენად.

**შოთა ჭულუხაძე**

## სპორტული შედეგები

### საციგურაო სპორტი

ევროპის ჩემპიონატი. სარაევო (იუგოსლავია). 18-20 იანვარი. ქალები. კლასიკური მრავალჭიდი. 1. გ.კლემანი (გერმანია) — 178,945; 2. ჰ. ვარნიკე (გერმანია) — 177,179; 3. ი.ვან — გენიპი (ჰოლანდია) — 180,512. 500მ. 1. ნ.პოლოზკოვა (სსრკ) — 42,48; 2. კლემანი — 42,69; 3. ე.ნემეტშუნაიდი (ავსტრია) — 42,80. 3000მ. 1. კლემანი — 4.24,35; 2. ვარნიკე — 4.27,27; 3. ს.ბოიკო (სსრკ) — 4.29,24. 1500მ. 1. კლემანი — 2.02,01; 2. ვარნიკე — 2.09,70; 3. პოლოზკოვა — 2.11,20. 5000მ. 1. კლემანი — 7.31,91; 2. ვარნიკე — 7.33,12; 3. ბოიკო — 7.44,70. ვაჟები. კლასიკური მრავალჭიდი. 1. ი.-უ.კოსი (ნორვეგია) — 162,173; 2. ლ.ვისერი (ჰოლანდია) — 163,134; 3. ბ.ველდკამპი (ჰოლანდია) — 163,428. 500მ. 1. ნ.გულიაევი (სსრკ) — 38,12; 2. ა.სონდრალი (ნორვეგია) — 38,48; 3. პადებერგი (გერმანია) — 38,63. 5000მ. 1. კოსი — 6.53,28; 2. ველდკამპი — 6.55,93; 3. ვისერი — 6.59,07. 1500მ. 1. ვისერი — 1.56,30; 2. ადებერგი — 1.56,68; 3. კოსი — 1.56,99. 10 000მ. 1. კოსი — 14.08,38; 2. ველდკამპი — 14.13,65; 3. გ.კარლსტადი (ნორვეგია) — 14.16,59.

### სამთო თხილამურები

მსოფლიო თასის გათამაშების ეტაპი. მერიბელი (საფრანგეთი). 20 იანვარი. სლალომი სუპერგიგანტი. ქალები. 1. პეტრა კრონბერგერი (ავსტრია) — 1.20,99; 2. მიშელა გერგი (გერმანია) — 1.21,48; 3. კაროლ მერლი (საფრანგეთი) — 1.21,49. საერთო ჩათვლაში ლიდერობს კრონბერგერი-276, მეორე — მერლი-92, მესამე — კატრინ გუტენზონი (გერმანია)-87. მსოფლიო ჩემპიონატი. ზაალბახი (ავსტრია). 22 იანვარი. სპეციალური სლალომი. ვაჟები. 1. მ. ჟირარდელი (ლუქსემბურგი); 2. ტ. შტანგაზინგერი (ავსტრია); 3. ო.-ქ. ფურუსეტი (ნორვეგია).

### სათხილამურო სპორტი

მსოფლიო თასის გათამაშება. მარათონში, ლინცი (ავსტრია). 20 იანვარი. 1 ეტაპი. 60კმ. ვაჟები. 1. ანდერს ბლომკვისტი (შვეცია) — 2:35.17.

### მაგიდის ჩოგბურთი

„ეროვნებათა თასი". მიუნხენი (გერმანია). 20 იანვარი. ვაჟები. 1/2 ფინალი. იუგოსლავია-სსრკ — 3:1, გერმანია-საფრანგეთი — 3:1. ფინალი. გერმანია-იუგოსლავია — 3:0.

### ველოსპორტი

სსრკ ზამთრის ჩემპიონატი. მოსკოვი. ოლიმპიური ველოდრომი კრილატსკოეში. 16-20 იანვარი. ქალები. ინდივიდუალური რბოლა გამოდევნებით. 3კმ. 1. ს.სამოხვალოვა (მოსკოვი) — 3.48,690; 2. ე.ჩალიხი (სიმფეროპოლი) — 3.55,017; 3. ლ.კოტოვა (ტულა) — 3.49,616. გუნდური რბოლა წყვილთა შორის. 2კმ. 1. ე.ჩელიხი და ტ.სტაიჟკინა (სიმფეროპოლი) — 2.28,051; 2. ი.კომაროვა და ე.ფილინა (მოსკოვი) — 2.28,952; 3. ო.სუდნიკი და ი.ცილომინა (მინსკი) — 2.29,751. ჯგუფური რბოლა 20 წრეზე 18 საშუალედო ფინიშით. 1. ო.საკუშოვა (ტოლიატი) — 32; 2. [illegible] (ბრესტი) — 30; 3. ვ.გერასიმოვა (მოსკოვი) — 29. ყველას — ერთი წრის უპირატესობა. ვაჟები. ინდივიდუალური რბოლა. 4კმ. 1.ე.ბერზინი (ლენინგრადი) — 4.30,456; 2. დ.ნელიუბინი (ლენინგრადი) — 4.30,967; 3. მ.ორლოვი (ლენინგრადი) — 4.32,936. გუნდური რბოლა. 4კმ. 1. ლენინგრადი — 4.11,865; 2. უკრაინა-I — 4.14,715; 3. უკრაინა-II — 4.16,903. ჯგუფური რბოლა 150 წრეზე 30 საშუალედო ფინიშით. 1. მ.ორლოვი (ლენინგრადი) — 58; 2. სლავრინენკო (ალმა-ატა) — 54; 3. აფედენკო (სუმი) — 33.

### კალათბურთი

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი. ვაჟები. მეოთხე ტური. პირველი ჯგუფი „დინამო" (მოსკოვი,სსრკ)—„კნორი" (იტალია) — 98:78, „შოლე" (საფრანგეთი)—„ოვერი" (პორტუგალია) — 99:73. „შოლე" და „დინამო" — სამ-სამი მოგება, „კნორი" — ორი, „ოვერი" — ნოლი. მეორე ჯგუფი. პაოკი (საბერძნეთი)—კაი (ესპანეთი) — 112:102, „ცრვენა ზვეზდა" (იუგოსლავია)—„ჰაპოელი" (ისრაელი) — 108:101. პაოკი და კაი — სამ-სამი მოგება, „ცრვენა ზვეზდა" და „ჰაპოელი" — თითო-თითო.

### საციგაო სპორტი

მსოფლიო თასის გათამაშების ეტაპი. კინტერბერგი (გერმანია). 20 იანვარი. ერთადგილიანი ციგები. ვაჟები. 1. გ.ჰაკლი (გერმანია) — 1.43,171. ქალები. 1. ს.ერდმანი (გერმანია) — 1.22,649. ორადგილიანი ციგები. ვაჟები. 1. ჰ.-ი.რადელი და ნ.ჰუბერი (იტალია) — 1.21,906.

### ბობსლეი

ევროპის ჩემპიონატი (ერთდროულად მსოფლიო თასის ეტაპი). ჩერვინია (იტალია). 20 იანვარი. ორადგილიანი ბობსლეი. 1. ფ.დიტრიხი და ჰ.იოჰელი (გერმანია) — 1.06,79.

### ჭადრაკი

ლუცერნი (შვეიცარია). ფიდე-ს შტაბინაში გამოცხადდა მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკეთა რეიტინგი. ვაჟები: 1. გარი კასპაროვი — 2800, 2. ანატოლი კარპოვი — 2725, 3. ბორის გელფანდი — 2700, 4. ვასილ ივანჩუკი — 2695, 5-7. ევგენი ბარეევი, მიხეილ გურევიჩი, იან ელვესტი — 2650, 8-9. ვალერი სალოვი, ლეონიდ იუდასინი — 2645, 10-11. ალექსანდრე ბელიავსკი, ალექსანდრე ხალიფმანი — 2640.

ქალები: 1. იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) — 2540, 2. ჟუჟა პოლგარი (უნგრეთი) — 2510, 3. მაია ჩიბურდანიძე — 2485. ათეულში შემდეგი ქართველი მოჭადრაკეებიც არიან: ნანა იოსელიანი (2470), ნონა გაფრინდაშვილი (2450), ქეთევან არახამია (2435).

# სად არის შესაძლებლობათა ზღვარი?

**ჭოკით ხტომა**
**მსოფლიო რეკორდი**
6.06 (10. 7. 1988)
**სავარაუდო ზღვარი**
**7,82 მ**




**სიმაღლეზე ხტომა**
**მსოფლიო რეკორდი**
2.44 (2. 7. 1989)
**სავარაუდო ზღვარი**
**2,56 მ**




**სპრინტი**
**მსოფლიო რეკორდი**
9.92 (24. 9. 1988)
**სავარაუდო ზღვარი**
**9,58**




**სიგრძეზე ხტომა**
**მსოფლიო რეკორდი**
8.90 (18. 10. 1968)
**სავარაუდო ზღვარი**
**10.348**




**თავისუფალი სტილით ცურვა 400მ**
**მსოფლიო რეკორდი (ქალები)**
4. 05. 45 (20. 3. 1988)
**სავარაუდო ზღვარი**
**ჯერჯერობით დაუდგენელია**




**მარათონი**
**მსოფლიო რეკორდი**
2:06.50 (17. 4. 1988)
**სავარაუდო ზღვარი**
**1:58.22**




1934 წელს კალიფორნიის უნივერსიტეტის მძლეოსანთა მწვრთნელმა ბრუტუს ჰამილტონმა იწინასწარმეტყველა, რომ ვერც ერთი სპორტსმენი ვერ გადახტება 2 მეტრსა და 10 სანტიმეტრზე უფრო მაღლა გადებულ თამასაზე, ვერ გაირბენს 100 მეტრს 10,1 წამზე, ხოლო 1500 მეტრს — 3 წუთსა და 44,8 წამზე სწრაფად. შემდგომმა ოცდაათმა წელიწადმა სრულიად გააქარწყლა ჰამილტონის წინასწარმეტყველება.

რეკორდების შტურმი გრძელდება.

რა თქმა უნდა, ადამიანის შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოვლენას ძალზე შეუწყო ხელი ტექნიკურმა პროგრესმა. მაგალითად, კინომასალის ანალიზის შემდეგ, რომელზეც აღბეჭდილი იყო ოლიმპიური ჩემპიონის ჯესი ოუენსის გარბენი 1936 წელს, კალიფორნიელი მკვლევარი გიდეონ გრიელი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იმ შემთხვევაში, თუ ოუენსი ირბენდა სინთეთიკური კაუჩუკისგან დამზადებულ სარბენ ბილიკზე და ეცმეოდა თანამედროვე სარბენი ფეხსაცმელი, ხოლო სასტარტო არეკნს გააკეთებდა ახლანდელი სპეციალური მოწყობილობიდან, იგი სრულიად ადვილად ჩამოაკლებდა თავის მაშინდელ რეკორდს (10,3) 0,4 წამს.

მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება; მაგრამ მთავარი შეკითხვა მაინც შეკითხვად რჩება: სად არის ადამიანის შესაძლებლობათა ზღვარი?

ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა არ არის ადვილი, მაგრამ ამერიკელი მეცნიერები მაინც შეეცადნენ გამოეთქვათ გარკვეული პროგნოზება. მკითხველისთვის შემოთავაზებული დიაგრამები მათი ერთგვარი „წინასწარმეტყველებაა" 2000 წლისთვის.

# „13“ — ნავსიანი თუ იღბლიანი?

ბუნდესლიგაში შესვენებაა. ზოგიერთი გუნდი უკვე დაბრუნდა საშობაო-საახალწლო შვებულებიდან და ვარჯიშს შეუდგა („შტუტგარტმა“, მაგალითად, ახალი წლის მეორე დღესვე ჩაატარა პირველი საწვრთნელი მეცადინეობა), ზოგი კლუბის წევრები ჯერაც ტკბებიან ოჯახური სიმყუდროვით, ზოგს კი (როგორც, ვთქვათ, მიონჰენგლადბახის „ბორუსიას“) არდადეგები მხოლოდ ახლა ეწყება და იანვრის ბოლომდე გაუგრძელდება. ერთი სიტყვით, ყველა მწვრთნელმა თავის გუნდს ვარჯიშისა და დასვენების, მისი აზრით, ოპტიმალური გრაფიკი შეუდგინა. ვისი აზრი გამოდგება ყველაზე სწორი? ამ შეკითხვაზე პასუხს თებერვლის მიწურულს მივიღებთ: 23-ში გერმანიის საფეხბურთო ჩემპიონატის მეორე წრე იწყება.

...უკანასკნელ ხანს ხშირად გაიგონებთან ან წაიკითხავთ ასეთ მოსაზრებას: „ბუნდესლიგა ის აღარ არის, რაც უწინ იყო“. მართლაც, მას შემდეგ რაც გერმანიის კლუბები დატოვეს და უმეტესწილად იტალიაში გადაიხვეწნენ ისეთი ვარსკვლავები, როგორიც მათეუსი, ბრემე, ფიოლერი, კლინსმანი და სხვები არიან, გერმნიის ჩემპიონატმა თითქოს დაკარგა უწინდელი ბრწყინვალება, ხოლო ცალკეულმა კლუბებმა — მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი პეწი. თითქოს-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ წლევანდელი გათამაშების შემხედვარე ვერაფრით დავეთანხმები ზოგიერთ სკეპტიკოსს, რომელიც ამტკიცებს ე. წ. ვარსკვლავთა მასობრივი „ემიგრაციის“ შემდეგ ბუნდესლიგაში სანახავი აღარაფერი დარჩაო.

სანახავი არის და თანაც რამდენი! მით უმეტეს, რომ მიმდინარე ჩემპიონატში მოვლენები ისე ვითარდება, დეტექტიური ჟანრის ყველაზე მომთხოვნ მოყვარულებსაც კი სავსებით დააკმაყოფილებდა. თავად განსაჯეთ: სატურნირო ცხრილს სადღეისოდ სათავეში უდგას გუნდი, რომელმაც ჩემპიონატი მარცხით დაიწყო (თანაც ვისთან?! — ბუნდესლიგის დებიუტანტ „ვატენშაიდ-09“-სთან) და ექვსი ტურის შემდეგ ექვსი ქულით მერვე ადგილზე იყო. იგი მხოლოდ პირველი წრის მიწურულს დაწინაურდა. სანამ „ვერდერი“ ძალას იკრებდა, ხან „კაიზერსლაუტერნი“ ლიდერობდა, ხან მიუნჰენის „ბაიერნი“, ხანაც ფრანკფურტის „აინტრახტი“. ვინ იფიქრებდა, რომ ბრემენის „ვერდერი“ ესოდენ წარუმატებელი სტარტის შემდეგ მთელ სამ თვეს (25 აგვისტოდან 24 ნოემბრამდე) ასე კარგად ითამაშებდა, დაუმარცხებლად მოახერხებდა სატურნირო ლაბირინთების გავლას და ყველას უკან ჩამოიტოვებდა.

მიუხედავად ამისა, პირველ წრეში გამარჯვებული ანუ „შემოდგომის ჩემპიონი“ ბრემენელთა გუნდს მაინც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ. საქმე ის გახლავთ, რომ მეორე წრის დაწყებამდე, 16 თებერვალს, „კაიზერსლაუტერნი“ ჩაატარებს გამოტოვებულ შეხვედრას „კიოლნთან“ და, თუ გაიმარჯვა, მოწინავე პოზიციასაც სწორედ ის დაიკავებს, როგორც ხედავთ, სატურნირო ინტრიგა მეტად ჩახლართულია და ფეხბურთის გურმანებ ქომაგებს მეორე წრეში არაერთ დაძაბულ მატჩს ჰპირდება.

ერთი რამ ახლავე ცხადია: ჩემპიონობისთვის სამი გუნდი იბრძვის — „ვერდერი“, „ბაიერნი“ და „კაიზერსლაუტერნი“. სხვათა შორის, ჟურნალ „შპორტ-ბილდის“ მიერ ამ რამდენიმე დღის წინათ ბუნდესლიგის ყველაზე პოპულარული მწვრთნელების გამოსავლენად ჩატარებულ გამოკითხვაში სწორედ ამ გუნდების მწვრთნელებმა დაიკავეს პირველი სამი ადგილი, ყველაზე პოპულარულ მწვრთნელად ოტო რეჰაგელი („ვერდერი“) აღიარეს, შემდეგ მოდიან კარლჰაინც ფელდკამპი („კაიზერსლაუტერნი“) და იუპ ჰაინკესი („ბაიერნი“).

ოტო რეჰაგელი და მისი „ვერდერი“ თბილისელებს, ვფიქრობ, კარგად ახსოვთ, იმ სამი წლის წინანდელი შემადგენლობიდან გუნდში დღესაც არაერთი ფეხბურთელი გამოდის, მაგრამ მნიშვნელოვნად შეიცვალა თვით გუნდის თამაშის სტილი, განსაკუთრებით თავდასხმაში. მაშინ აქცენტი ტანმაღალი ნოიბარტის „ტარანულ“ მანერაზე კეთდებოდა, ახლა კი მთავარ დამრტყმელ ძალას კლაუს ალოფსისა და ახალზელანდიელი რუფერის „ტანდემი“ წარმოადგენს. ისინი ნოიბარტისგან (რომელიც ახლა უმეტესად სათადარიგოთა სკამზე ზის) განსხვავებით თავით სუსტად თამაშობენ, მათი ძალა ფეხით თამაშშია. რუფერ ალოფსის ტანდემის ანგარიშზე 15 გოლი (9+6) მოდის და აქედან მხოლოდ ერთია თავით გატანილი.

„ვერდერის“ მთავარ კოზირად მაინც ჩინებულად ორგანიზებული საიმედო დაცვა რჩება, სადაც განსაკუთრებით ნორვეგიელი რუნე ბრადსეტი და ული ბოროვკა გამოირჩევიან.

რაც შეეხება „კაიზერსლაუტერნს“, მისი მწვრთნელი კარლჰაინც ფელდკამპი ხშირად იმეორებს ჯველასთვის ნაცნობ ფრაზას — საუკეთესო დაცვა, თავდასხმააო. ამას იგი საქმითაც ამტკიცებს — გუნდი შემტევი სტილით თამაშობს. თანაც „კაიზერსლაუტერნს“ გამოკვეთილი ბომბარდირი არა ჰყავს. ჩემპიონატში გატანილი 32 გოლი 13 ფეხბურთელის ანგარიშზე მოდის!

„კაიზერსლაუტერნზე“ მეტი, 39 ბურთი მხოლოდ „ბაიერნმა“ გაიტანა. აქედან 11-ჯერ ვოლფარტმა ისახელა თავი, 5-5 გოლი კი შტრუნცისა და მიჰაელ ლაუდრუპის უმცროსი ძმის ბრაიანის წილად მოდის. ბრაიან ლაუდრუპი, ჩემი აზრით, სადღეისოდ უძლიერესი ფეხბურთელია ბუნდესლიგაში. მას თვითონ ისე ხშირად არ გააქვს გოლები, მაგრამ „ბაიერნის“ შეტევათა სული და გულია. ბრაიანის ზუსტი, დროული და ხშირად მახვილგონივრული გადაცემების შემდეგ მისმა თანაგუნდელებმა 7-ჯერ აიღეს მეტოქეთა კარი. ასე რომ, ჰოკეის სისტემას (გოლი+პასი) თუ გამოვიყენებთ ლაუდრუპი (5+7) კლაუს ალოფსთან (6+6) ერთად 12 ქულით მეორე ადგილზე აღმოჩნდება, ვოლფარტს კი 14 ქულა ექნება (11+3).

ერთ საგაზეთო წერილში, ბუნებრივია, ყველა გუნდს ვერ შევეხებით, მაგრამ დორტმუნდის „ბორუსიაზე“ ორი სიტყვა მაინც უნდა ითქვას, „ბორუსია“ „გუნდ-პარადოქსად“ მონათლეს და არცთუ უსაფუძვლოდ. საქმე ის არის, რომ დორტმუნდელებმა სტუმრად ჩატარებულ მატჩებში თითქმის ორჯერ მეტი ქულა მოაგროვეს, ვიდრე შინ გამართულ შეხვედრებში. საკუთარ მინდორზე „ბორუსიამ“ რვიდან მხოლოდ ორი მატჩი მოიგო, სამი ფრედ დაამთავრა და სამი წააგო. სტუმრად მისი შედეგი ასეთია: ცხრა შეხვედრა, ხუთი მოგება, სამი ფრე და ერთი წაგება. მართლაც იშვიათი მაჩვენებელია!

თუ „ბორუსიამ“ საკუთარ მოედანზეც ისე ითამაშა, როგორც სტუმრად, გამორიცხული არ არის, რომ გაზაფხულზე ჩემპიონის ტიტულის მაძიებელთა შორის ისიც ვიხილოთ. ისე კი ოქროს მედლების ბედი დიდად იქნება დამოკიდებული „ბაიერნისა“ და „ვერდერის“ მატჩზე, რომელიც 13 აპრილს შედგება მიუნჰენში.

ასე რომ „13“ ვიღაცისთვის ნავსიანი იქნება, ვიღაცისთვის კი — იღბლიანი.

**დავით კაკაბაძე,**
„სარბიელის“ საკუთარი კორესპონდენტი.
კიოლნი.

### სატურნირო ცხრილი 25 იანვრისთვის

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ვერდერი“ | 17 | 10 | 4 | 3 | 24-13 | 24 |
| „ბაიერნი“ | 17 | 9 | 5 | 3 | 39-19 | 23 |
| „კაიზერსლაუტერნი“ | 16 | 9 | 4 | 3 | 32-22 | 22 |
| „აინტრახტი“ | 17 | 7 | 6 | 4 | 26-15 | 20 |
| „ბორუსია“ დორტ. | 17 | 7 | 6 | 4 | 21-20 | 20 |
| „კიოლნი“ | 16 | 7 | 4 | 5 | 23-12 | 18 |
| „ჰამბურგი“ | 16 | 8 | 2 | 6 | 23-18 | 18 |
| „ბაიერი“ ლევერკუზ. | 16 | 5 | 8 | 3 | 22-19 | 18 |
| „ფორტუნა“ | 17 | 5 | 7 | 5 | 20-23 | 17 |
| „ვატენშაიდ-09“ | 16 | 6 | 4 | 6 | 21-26 | 16 |
| „ბოხუმი“ | 17 | 5 | 6 | 6 | 24-23 | 16 |
| „შტუტგარტი“ | 17 | 5 | 4 | 8 | 22-27 | 14 |
| „ბორუსია“ მიონ. | 17 | 3 | 8 | 6 | 21-29 | 14 |
| „კარლსრუე“ | 16 | 4 | 5 | 7 | 22-29 | 13 |
| „ბაიერი“ იურდინგ. | 17 | 3 | 7 | 7 | 21-31 | 13 |
| „სანკტ პაული“ | 17 | 2 | 9 | 6 | 16-26 | 13 |
| „ნიურნბერგი“ | 16 | 3 | 4 | 9 | 18-30 | 10 |
| „ჰერტა“ | 16 | 2 | 5 | 9 | 14-27 | 9 |

## ინგლისი

23-ე ტურის შემდეგ ჩემპიონატის ლიდერი შეიცვალა. გათამაშების ცხრილს სათავეში პირველად ჩაუდგა ლონდონის „არსენალი“, რომელმაც შინ დაამარცხა „ევერტონი“ — 1:0. ერთადერთი ბურთი 48-ე წუთზე მერსონმა გაიტანა. „ლივერპულმა“ საკუთარ მოედანზე ქულა დაკარგა „უიმბლდონთან“ — 1:1. ანგარიში 33-ე წუთზე გახსნა ბარნსმა, მაგრამ მატჩის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე ბართონმა საჯარიმო დარტყმით აღადგინა წონასწორობა. „ტოტენჰემ ჰოთსპურმა“ მოუგო „დერბი ქაუნთის“ — 1:0 (ლინეკერი). ფრედ (1:1) დამთავრდა „ქუინზ პარკ რეინჯერსისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“, აგრეთვე „საუთჰემპტონისა“ და „ნოტინგემის“ შეხვედრები. ვორდის ორმა გოლმა გამარჯვება მოუტანა „მანჩესტერ სიტის“ „შეფილდ იუნაიტედთან“ მატჩში (2:0). „კოვენტრიმ“ მოუგო „ასტონ ვილას“ (2:1), „სანდერლენდმა“ — „ჩელსის“ (1:0), ხოლო „ლიდსმა“ — „ლუტონს“ (2:1). „კრისტალ პალასმა“, რომელიც მესამე ადგილზეა, მარცხი იწვნია „ნორიჩთან“ — 1:3. გაიმართა ლიგის თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩები. ნახევარფინალში გავიდა „ლიდს იუნაიტედი“, რომელმაც „ასტონ ვილა“ დაამარცხა 4:1. ფრედ დამთავრდა ორი მატჩი: „ჩელსი“ — „ტოტენჰემი“ — 0:0, „საუთჰემპტონი“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“ — 1:1. ეს ორი გადათამაშება ერთი კვირის შემდეგ მოეწყობა. უამინდობის გამო არ გამართულა მატჩი „კოვენტრისა“ და „შეფილდ უენზდეის“ შორის.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „არსენალი“ | 23 | 15 | 8 | 0 | 42-10 | 51 |
| „ლივერპული“ | 22 | 15 | 5 | 2 | 42-17 | 50 |
| „კრისტალ პალასი“ | 23 | 13 | 6 | 4 | 33-23 | 45 |
| „ლიდს იუნაიტედი“ | 23 | 12 | 6 | 5 | 38-24 | 42 |
| „მანჩესტერ იუნ.“ | 23 | 11 | 7 | 5 | 36-24 | 39 |

## შოტლანდია

23-ე ტურის ცენტრალური შეხვედრა გლაზგოში გაიმართა. „სელტიკმა“, რომელიც ამ ჩემპიონატში სუსტად თამაშობს და საგრძნობლად ჩამორჩება ლიდერებს, დაამარცხა „აბერდინი“ -1:0. ერთადერთი გოლი 90-ე წუთზე გაიტანა თომი ქოინმა. „რეინჯერსმა“ სტუმრად მოუგო „ჰიბერნიანს“ - 2:0 (ჯონსტონი და ჰითლი). „სენტ მირენმა“ შინ წააგო „სენტ ჯონსტონთან“ - 0:1 (ქარენი). „დანდი იუნაიტედმა“ დაამარცხა „მაზერველი“ - 3:0. „დანფერმლინისა“ და „ჰარტსის“ შეხვედრა გადაიდო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „გლაზგო რეინჯერსი“ | 23 | 16 | 5 | 2 | 48-14 | 37 |
| „აბერდინი“ | 23 | 11 | 8 | 4 | 36-30 | 30 |
| „დანდი იუნაიტედი“ | 22 | 12 | 5 | 5 | 32-18 | 29 |
| „სენტ ჯონსტონი“ | 22 | 10 | 6 | 6 | 31-28 | 26 |
| „სელტიკი“ | 22 | 7 | 6 | 9 | 27-29 | 20 |

## ჰოლანდია

უამინდობის გამო მე-16 ტურის ექვსი მატჩი გადაიდო. დარჩენილი სამი შეხვედრიდან აღსანიშნავია ლიდერების — „ეინდჰოვენისა“ და „გრონინგენის“ მატჩი. ამ თამაშს 25 ათასი მაყურებელი დაესწრო. ანგარიში პირველი ტაიმის მიწურულს გახსნა რუმინელმა პოპესკუმ, რომელიც „ეინდჰოვენში“ თამაშობს. მატჩის დამთავრებამდე 14 წუთით ადრე სტუმართა ფეხბურთელმა ვილსონმა საპასუხო გოლი გაიტანა — 1:1. „ეინდჰოვენი“ ინარჩუნებს პირველ ადგილს, თუმცა დაკარგული ქულების მიხედვით ჩამორჩება „აიაქსს“, რომელსაც ორი გამოტოვებული მატჩი აქვს ჩასატარებელი. „გრონინგენი“ კვლავ მესამე ადგილზეა.

კერკრადეში „როდამ“ დაამარცხა „ვილემ II“ — 1:0. ეს ერთადერთი გოლი მეოთხე წუთზე გაიტანა მარიო ბეენმა. ფრედ (1:1) დამთავრდა რკს-ისა და „ფორტუნას“ შეხვედრა.

ბომბარდირთა სიას 11-11 ბურთით ლიდერობს „აიაქსის“ ორი ფეხბურთელი — ბერხკამპი და პეტერსონი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ეინდჰოვენი“ | 16 | 11 | 4 | 1 | 42-11 | 26 |
| „აიაქსი“ | 14 | 9 | 5 | 0 | 37-8 | 23 |
| „გრონინგენი“ | 16 | 7 | 8 | 1 | 31-17 | 22 |
| „დენ ჰააგი“ | 15 | 8 | 2 | 5 | 27-23 | 18 |
| „ფორტუნა“ | 16 | 6 | 6 | 4 | 19-19 | 18 |

**ჟურნალ „კიკერმა“ დაასახელა ბუნდესლიგის სიმბოლური ნაკრები I წრის მიხედვით:**

შტაინი („აინტრახტი“), კოლერი („ბაიერნი“), ბინცი („აინტრახტი“), ბრატსეტი („ვერდერი“), ფოსტერი (ლევერკუზენის „ბაიერი“), მიოლერი („აინტრახტი“), ჰარტგენი („ვერდერი“), ეფენბერგი („ბაიერნი“), ლაუდრუპი („ბაიერნი“), შტურმი („კიოლნი“), კლაუს ალოფსი („ვერდერი“).

ოთხშაბათს საბერძნეთისა და პორტუგალიის ნაკრებთა მატჩით განახლდა

# ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრები

### გთავაზობთ ჯგუფებში შექმნილ სატურნირო მდგომარეობასა და კალენდარს საზაფხულო არდადეგებამდე

#### I ჯგუფი

| | | | |
|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 3 | 5-2 | 6 |
| ესპანეთი | 3 | 13-4 | 4 |
| ჩეხოსლოვაკეთი | 3 | 5-4 | 4 |
| ისლანდია | 4 | 4-5 | 2 |
| ალბანეთი | 3 | 0-12 | 0 |

20.02 საფრანგეთი — ესპანეთი, 30.03 საფრანგეთი — ალბანეთი, 01.05 ალბანეთი — ჩეხოსლოვაკეთი, 26.05 ალბანეთი — ისლანდია, 05.06 ისლანდია — ჩეხოსლოვაკეთი.

#### II ჯგუფი

| | | | |
|---|---|---|---|
| შოტლანდია | 3 | 5-3 | 5 |
| შვეიცარია | 3 | 7-3 | 4 |
| ბულგარეთი | 3 | 4-3 | 3 |
| რუმინეთი | 3 | 7-5 | 2 |
| სან-მარინო | 2 | 0-10 | 0 |

27.03 შოტლანდია — ბულგარეთი, სან-მარინო — რუმინეთი, 03.04 შვეიცარია — რუმინეთი, 01.05 ბულგარეთი — შვეიცარია, სან-მარინო — შოტლანდია, 22.05 სან-მარინო — ბულგარეთი, 05.06 შვეიცარია — სან-მარინო.

#### III ჯგუფი

| | | | |
|---|---|---|---|
| იტალია | 3 | 5-1 | 4 |
| უნგრეთი | 3 | 5-3 | 4 |
| სსრკ | 2 | 2-0 | 3 |
| ნორვეგია | 3 | 3-2 | 3 |
| კვიპროსი | 3 | 2-11 | 0 |

03.04 კვიპროსი — უნგრეთი, 17.04 უნგრეთი — სსრკ, 01.05 იტალია — უნგრეთი, ნორვეგია — კვიპროსი, 22/29.05 სსრკ — კვიპროსი, 05.06 ნორვეგია — იტალია.

#### IV ჯგუფი

| | | | |
|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 3 | 8-1 | 6 |
| დანია | 3 | 5-4 | 3 |
| ფარერის კ-ბი | 2 | 2-4 | 2 |
| ჩრდ.ირლანდია | 3 | 1-3 | 2 |
| ავსტრია | 3 | 1-5 | 1 |

27.03 იუგოსლავია — ჩრდ.ირლანდია, 01.05 იუგოსლავია — დანია, ჩრდ.ირლანდია — ფარერის კ-ბი, 14/15.05 იუგოსლავია — ფარერის კ-ბი, 22.05 ავსტრია — ფარერის კ-ბი, 05.06 დანია — ავსტრია.

#### V ჯგუფი

| | | | |
|---|---|---|---|
| უელსი | 2 | 4-1 | 4 |
| გერმანია | 1 | 3-2 | 2 |
| ლუქსემბურგი | 2 | 2-4 | 0 |
| ბელგია | 1 | 1-3 | 0 |

27.02 ბელგია — ლუქსემბურგი, 27.02 ბელგია — უელსი, 01.05 გერმანია — ბელგია, 05.06 უელსი — გერმანია.

#### VI ჯგუფი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 3 | 10-1 | 4 |
| საბერძნეთი | 3 | 7-4 | 4 |
| პორტუგალია | 3 | 3-3 | 3 |
| ფინეთი | 2 | 1-1 | 2 |
| მალტა | 3 | 1-13 | 1 |

09.02 მალტა — პორტუგალია, 20.02 პორტუგალია — მალტა, 13.03 ჰოლანდია — მალტა, 17.04 ჰოლანდია — ფინეთი, 16.05 ფინეთი — მალტა, 05.06 ფინეთი — ჰოლანდია.

#### VII ჯგუფი

| | | | |
|---|---|---|---|
| ირლანდია | 2 | 6-1 | 3 |
| ინგლისი | 2 | 3-1 | 3 |
| პოლონეთი | 2 | 1-2 | 2 |
| თურქეთი | 2 | 0-6 | 0 |

27.03 ინგლისი — ირლანდია, 17.04 პოლონეთი — თურქეთი, 01.05 თურქეთი — ინგლისი, 01.05 ირლანდია — პოლონეთი.

შენიშვნა: საბერძნეთი — პორტუგალიის მატჩის ანგარიში იხილეთ მე-8 გვერდზე.

ჟურნალმა „ესქვაირმა“ (აშშ) 1990 წლის ბოლო ნომერში გამოაქვეყნა ინტერვიუ სახელგანთქმულ კალათბურთელთან მაიკლ ჯორდანთან, რომელიც წლების მანძილზე, წარმატებით იცავს ნბა-ს ცნობილი კლუბის „ჩიკაგო ბულსის“ ღირსებას. გთავაზობთ ნაწყვეტს ამ ინტერვიუდან.

# სუპერვარსკვლავი სუპერგუნდიდან



— მაიკლ, რა გიყვარს კალათბურთში ყველაზე მეტად?

— განსაკუთრებულ სიამოვნებას მანიჭებს ის, რომ შემიძლია მოედანზე რაღაც ისეთი გავაკეთო, რასაც სხვები ვერ ახერხებენ. თამაში თორმეტი წლისამ დავიწყე და უკვე მაშინ მინდოდა სხვებისგან გამორჩეული ვყოფილიყავი.

— მაყურებელი ყოველთვის აფასებს ათლეტის ფიზიკურ ძალას და მოედანზე აზროვნების უნარს. მართალია, ბუნებამ განსაკუთრებული ფიზიკური მონაცემებით დაგაჯილდოვა, მაგრამ შენი საკალათბურთო აზროვნება თითქოს იკარგება ფიზიკური სიძლიერის ფონზე...

— კალათბურთის „ფილოსოფია“ ჯერ კიდევ კოლეჯის გუნდში თამაშისას შევიცანი. ჩრდილოეთ კაროლინის 1982 წლის ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ დავრწმუნდი, რომ ამ დონის ტურნირში შემეძლო საკმაოდ დიდი ხნით მეთამაშა. ბევრს ვმუშაობდი საკუთარ თავზე, განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობდი ფსიქოლოგიურ მომზადებას. ამაში დიდად დამეხმარა ჩემი კოლეჯის გუნდის მწვრთნელი დინ სმიტი, რომელიც, ჩემი აზრით, დღესაც ერთ-ერთი საუკეთესო ფსიქოლოგია.

— წლების მანძილზე იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ სასტარტო ხუთეულის ოთხი მოთამაშე შენ გიქმნიდა ამინდს მოედანზე, ახლა პირიქით ხდება: შენ თამაშობ დანარჩენებისთვის.

— მე შემიძლია საჭიროების მიხედვით შევცვალო სიტუაცია მოედანზე. გუნდი დაცვითი ტაქტიკით ვათამაშო ან პირიქით, მახსენდება შარშანდელი მატჩი „დეტროიტ პისტონსთან“. პირველი სამი მეოთხედის შემდეგ 22 ქულას ვაგებდით. ვიგრძენი, რომ ვერავინ შეძლებდა თამაშში გარდატეხის შეტანას, ვერავინ ჩემს გარდა! უმალ გადავიქეცი ქულების მომტან „მანქანად“. ის მატჩი ჩვენ მოვიგეთ... „ჩიკაგო ბულსზე“ ხშირად ამბობენ, ერთი კაცის გუნდიაო. მე ამას კომპლიმენტად ვღებულობ.

— ისეთ მოთამაშეებს, როგორიც შენ და „მეჯიკ“ ჯონსონი ხართ, ბევრი სახელი შემოაქვთ კალათბურთში. ამაში თქვენი აფრიკულ-ამერიკული წარმომავლობა ხომ არ არის „დამნაშავე“?

— როცა უყურებ ჯონსონის ფენომენალურ პასებს, თვალდახუჭული რომ აკეთებს, არაფერზე არ ფიქრობ. თქვენ შეგიძლიათ ყველაფერი მის წარმომავლობას „დააბრალოთ“, მაგრამ, დამეთანხმებით, ჯონსონი განსაცვიფრებელი სპორტსმენია.

— როგორი მუსიკა უყვარს მაიკლ ჯორდანს?

— მიყვარს ჯაზი, რბილი და ნაზი მუსიკა.

— მაილს დევისს თუ უსმენ?

— რა თქმა უნდა!

— მაილს დევისი იმპროვიზაციის საოცარი უნარით იპყრობს მაყურებელს. თუ ცდილობ უფრო გაამრავალფეროვნო შენი თამაში?

— ვცდილობ სიურპრიზი შევთავაზო მეტოქეს, რაიმე ახალი ვაჩვენო მაყურებელს.

— თამაშის დროს აუდიტორიის რომელ ნაწილს უწევ ანგარიშს ყველაზე მეტად?

— ბავშვებს! ვცდილობ ვასიამოვნო ჩემს პატარა გულშემატკივრებს. როცა შესაძლებლობა მეძლევა, ვუცინი, ხელს ვუქნევ. მე ისინი ძალიან მჭირდებიან.

მოამზადა
**დიმიტრი ოზოლაძემ.**

## რეკორდების რისხვა

როგორც ეტყობა, უეინ გრეცკიმ მტკიცედ გადაწყვიტა ჰოკეის ეროვნული ლიგის ყველა რეკორდი დაამხოს.

ამ დღეებში გამოჩენილმა თავდამსხმელმა კიდევ ერთი მიღწევა გააუმჯობესა. ეს მოხდა 20 იანვარს ამერიკის ქალაქ ჩიკაგოში, სადაც ჩატარდა ნჰლ-ის „ყველა ვარსკვლავის“ მეთხუთმეტე მატჩი კონფედერაციების „კემპბელისა“ და „უელსის“ ნაკრებ გუნდებს შორის. ტრადიციისამებრ პირველ გუნდში შევიდნენ დივიზიონების „ნორისისა“ და „სმაითის“, მეორეში - „პეტრიკისა“ და „ადამსის“ ჰოკეისტები.

მატჩმა უდიდესი სიამოვნება განაცდევინა დარბაზში შეკრებილ 17 ათას გულშემატკივარს და ტელემაყურებელთა მრავალმილიონიან აუდიტორიას. კონფედერაცია „კემპელის“ ნაკრებმა დიდ უპირატესობას მიაღწია და მეტოქე დაამარცხა გამანადგურებელი ანგარიშით 11:5.

გამარჯვებულთა შორის გამოირჩეოდა „ტორონტოს“ მოთამაშე ვენეამ დამფურე, რომელმაც ოთხი შაიბა გაიტანა. „ლოს-ანჯელეს კინგზში“ მოთამაშე გრეცკის შედეგი ამჯერად უფრო „მოკრძალებული“ იყო — ერთი შაიბა, მაგრამ მორიგი რეკორდისთვის ესეც საკმარისი აღმოჩნდა. ახლა შედეგიანობის რეკორდი უეინს ეკუთვნის — 11 შაიბა „ყველა ვარსკვლავის“ 11 მატჩში.

ამ შეხვედრის შემდეგ ნჰლ-ის „ყველა ვარსკვლავის“ ტრადიციულ ბრძოლაში, რომელსაც 1975 წელს ჩაეყარა საფუძველი, საგრძნობი უპირატესობა მოიპოვა კონფედერაცია „უელსმა“ — 11:4.

## საბერძნეთი — პორტუგალია — 3:2

ათენში ანგარიში მეშვიდე წუთზე ბერძენმა ბორბოკისმა გახსნა. ამ გოლს პორტუგალიელთა შეტევები მოჰყვა. მათ არა მარტო გაათანაბრეს ანგარიში, არამედ წინაც გავიდნენ (რუი აგუაში და ფუტრე) — 2:1. ამის შემდეგ პორტუგალიელებმა ყურადღება მოადუნეს და მცველთა რამდენიმე უხეშ შეცდომას მასპინძელთა ორი გოლი მოჰყვა (მანოლასი და ცალუხიდისი). ცალუხიდისის მიერ 85-ე წუთზე გატანილი ბურთი გადამწყვეტი აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ პორტუგალიელმა კადეტემ 86-ე წუთზე შესძლო მასპინძელთა კარის აღება, მაგრამ მსაჯმა გოლი არ ჩათვალა.

# პრეზიდენტი და... „კოკა-კოლა“



ბარსელონის ოლიმპიადაზე, რომელიც 1992 წელს უნდა ჩატარდეს, ჯერ კიდევ დიდი დროა, მაგრამ სოკ-ის ხაზინაში ფულმა უკვე იწყო დენა. სადღეისოდ მიღებული თანხა 200 მილიონ დოლარს შეადგენს. ეს არის შემოსავალი მომავალი თამაშებისადმი მიძღვნილი „ტოპ-2“ კომერციული სარეკლამო პროგრამისა, რომელსაც 20 რჩეული კონცერნი აფინანსებს.

გაშლილ კამპანიაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე მსხვილმა კონცერნმა „კოკა-კოლამ“. როგორც ფირმის პრეზიდენტი დონალდ კეუ ამბობს, ამ „საქმეში ჩადებული“ 30 მილიონი დოლარი ყველაზე დიდი თანხაა ფირმის სპონსორობის ისტორიაში. დასავლეთის სპორტულ წრეებში უკვე აღარავის აკვირვებს ამგვარი გულუხვობა განთქმული ფირმისა, რომლის ყოველწლიური ხარჯებიც ნახევარ მილიარდ დოლარს შეადგენს. შუშხუნა სასმელი, რომელსაც ამერიკული კონცერნი აწარმოებს, დიდი ხანია იქცა მსოფლიო სპორტის ერთგვარ თანამგზავრად. თავად განსაჯეთ: საერთაშორისო შეჯიბრებებზე „კოლა“ პირველად 1907 წელს გამოჩნდა, როცა ამერიკელ ბეისბოლისტებს უფასოდ სთავაზობდნენ „დასაჭაშნიკებლად“.

სპორტულ ევროპას „კოკა-კოლა“ 1928 წელს ესტუმრა, ამსტერდამის ოლიმპიადის დღეებში. ამ თამაშებზე აშშ-ის ნაკრებმა 1000 ყუთი „კოლა“ ჩაიტანა. მას შემდეგ სპორტულ მოძრაობას სულ უფრო ფართოდ მოედო „კოკა-კოლას“ ქსელი. ატლანტიდან, სადაც ამ კონცერნის შტაბბინაა, მრავალი წელია აფინანსებენ მთავარ სპორტულ ასპარეზობებს — ფეხბურთელთა და მძლეოსანთა მსოფლიო თუ ევროპის ჩემპიონატებს, ჩოგბურთელთა ტურნირს დევისის თასზე... ბოლო წლებში ფირმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთი მძლავრი პარტნიორი გახდა. ოლიმპიური მოძრაობა მათი ერთობლივი ძალითა და მონდომებით უმსხვილეს სპორტულ კონცერნად იქცა. „სპორტის ნაპოლეონად“ წოდებული ხუან ანტონიო სამარანჩის გულახდილი საუბრებიდან სავსებით აშკარა იყო, რომ თავის დროზე იგი უთუოდ შეეცდებოდა მადლობა გადაეხადა „კოკა-კოლას“ მწარმოებლისთვის. 1988 წელს პრეზიდენტმა კონცერნის ხელმძღვანელი ოლიმპიური ორდენით დააჯილდოვა, ხოლო ორი წლის შემდეგ 1996 წლის ოლიმპიური თამაშები „იჯარით“ მისცა ატლანტას...

ეს გამარჯვება კონცერნს ფულმა მოუტანა. ატლანტელებმა იცოდნენ, რომ ოლიმპიადის მასპინძლობის უფლებისთვის ფული უნდა გადაეხადათ და კენჭისყრამდე კარგა ხნით ადრე ფართო კამპანიაც გააჩაღეს სოკ-ის წევრთა გადასაბირებლად: ჯორჯიის შტატის დედაქალაქში ჩაყვანილ 75 საპატიო სტუმარს კარდინალებივით უვლიდნენ, აჭმევდნენ, ასმევდნენ და ართობდნენ კიდეც ინდივიდუალური პროგრამით. ხოლო იმას, რომ „ოლიმპიური მამები“ ძღვნის მიმართ გულგრილნი არ არიან, თუნდაც შეერთებულ შტატებში სტუმრობის დროს სოკ-ის ყველა წევრისთვის მირთმეული 55 ძვირფასი საჩუქრის სიაც მოწმობს. საჩუქრებს შორის იყო ფერადი ტელევიზორები, ვიდეომაგნიტოფონები, შვეიცარიული საათები ოქროს სამაჯურებით...

არანაკლები გულუხვობა გამოიჩინეს ატლანტის წარმომადგენლებმა ტოკიოშიც, სადაც მოეწყო კონკურსი ოლიმპიადა-96-ის დედაქალაქის ასარჩევად (შეგახსენებთ, რომ ეს ასპარეზობა თანამედროვე ოლიმპიური თამაშების საუკუნოვანი იუბილეს წელს ტარდება). გფრ-ის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელი ვილი დაუმე, რომელიც იმ დროს ტოკიოში იყო, ამბობს, ყოველ ნახევარ საათში ჩემს ნომერში ახალ-ახალ საჩუქრებს ვნახულობდიო.

— გულახდილად რომ გითხრათ, ძალიან შემეცოდა საბერძნეთის დელეგაცია, — თქვა ვილი დაუმემ გაზეთ „შპიგელისთვის“ მიცემულ ინტერვიუში. — ბერძნების ოცნება იყო ოლიმპიადის საუკუნოვანი იუბილე თავიანთ სამშობლოში ეზეიმათ, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს. ისინი თავიანთი გულუბრყვილობის მსხვერპლნი გახდნენ — ვერ გაითვალისწინეს, რომ დღეს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს გულკეთილი თმადათოვლილი მოხუცები კი არ მართავენ, არამედ ენერგიული საქმოსნები, ვისთვისაც ბიზნესი ყველაფერზე მაღლა დგას.

ამასობაში სამარანჩი, რომელმაც სოკ-ი — ეს სამოყვარულო სპორტული ორგანიზაცია — უმძლავრეს ოლიმპიურ კონცერნად აქცია, ისევ და ისევ ეძებს კიდევ უფრო გამდიდრების გზებს. მაგალითად, ამას წინათ მან ამაყად განაცხადა, რომ მარტო ბარსელონიდან ოლიმპიადა-92-ის პირდაპირი ტრანსლაციის უფლების გაცემით სოკ-მა უკვე მიიღო 1,1 მილიარდი გერმანული მარკა. ასეთი თანხა მის წინამორბედ ევერი ბრენდეჯს ალბათ არც დაესიზმრებოდა...

## „სიტროენი“, „იამაჰა“, „პერლინი“

საფრანგეთისა და სენეგალის დედაქალაქებს წელიწადში ერთხელ აერთებს ყველასათვის ცნობილი რალი პარიზი-დაკარი. თითქმის 8200 კილომეტრი სიგრძის გზა ერთი ევროპული და ხუთი აფრიკული ქვეყნის (ლიბია, ნიგერი, მალი, მავრიტანია და სენეგალი) ტერიტორიას გადასერავს.

პარიზი-დაკარი უძნელეს რბოლად ითვლება მონათესავე შეჯიბრებებს შორის. ტრაგედიებიც სამწუხაროდ, ამ რალის უცილობელი თანამგზავრია. და მაინც, ამ უძნელეს რბოლაში თავის გამოცდის მსურველთა რიცხვი არ მცირდება.

რიგით მე-13 რალი ამ რამდენიმე დღის წინ დამთავრდა სენეგალის დედაქალაქში. იგი 29 დეკემბერს დაიწყო ვენსენის ციხე-კოშკთან, პარიზში. სტარტზე 406 მანქანა გამოვიდა და მათგან ფინიშს მხოლოდ 178-მა მიაღწია. მოხდა უბედურებაც — ერთი მონაწილე დაიღუპა. მალიში უცნობმა პირებმა ტყვია დაუშინეს ფირმა „სიტროენის“ თანმხლებ სატვირთოს, რომლის მძღოლი, 34 წლის შარლ კაბანი, დაიღუპა...

რალის ფავორიტებად ითვლებოდნენ ფრანგული ფირმა „სიტროენის“ ეკიპაჟები, რომელთაც სახელგანთქმული მრბოლება, ფინელი არი ვატანენი და ბელგიელი ჟეკი იქსი მეთაურობდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ რბოლაში სერიული მანქანები კი არა, მათი სპორტული პროტოტიპები მონაწილეობენ. მაგალითად, საბჭოთა „ლადას“ საფრანგეთში მხოლოდ სახელი და ფორმა გაჰყვა, მთელი „შიგნეული“, მათ შორის მოტორიც, ფრანგული წარმოებისაა. „ლადას“ მძღოლებიც იქაური ჰყავს — ცნობილი პატრიკ ტამბე, იუბერ ორიოლი და სხვები.

ამ მე-13 რბოლის ტრასა, აკი გითხა ურთულესი იყო და ბევრი მანქანა გამოვიდა მწყობრიდან, მათ შორის იქსის „სიტროენიც“. კვლავ დიდი ოსტატობა გამოავლინა არი ვატანენმა, რომელმაც მეოთხედ (!) გაიმარჯვა. მან თავის შტურმან, შვედ ბერგლუნდთან ერთად მთელი გზა 31 საათსა და 41,21 წუთში გაიარა, უკან ჩამოიტოვა ორი ფრანგული ეკიპაჟი, რომლებიც იაპონური „მიცუბისით“ ასპარეზობდნენ — ბლარტეკი — პლესტაიატი და ჟამფონტენი — პიკუსმარა. განსხვავება შესაბამისად 2:35.39 და 3:19.18 იყო. მოტოციკლისტთა შეჯიბრებაში, რომელთაც „უდაბნოს რაინდებს“ ეძახიან, სამივე პირველი ადგილი იაპონური „იამაჰას“ მძღოლებმა დაიკავეს. სამივე ფრანგია: ხპეტერანსელი (78:16.07), ჟილიე და ტამნიდი. საოცარია, რომ გამარჯვებულმა იმხელა გზაზე სულ 17,22 და 25,21 წუთით გაუსწრო მეორე და მესამე პრიზიორებს. სატვირთო ავტომობილების კლასში მოულოდნელად მეორე, მესამე და მეოთხე ადგილები დაიკავეს „კამაზებმა“, ხოლო გამარჯვებით იტალიური ფირმა „პერლინის“ ეკიპაჟმა გაიმარჯვა.

## აქეთური, იქითური...

ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ფიგურა ტრამპლინიდან მხტომელმა მატი ნიუკანენმა განაცხადა, რომ 1992 წლის ოლიმპიადა ალბერვილში მისთვის უკანასკნელი შეჯიბრება იქნება. 26 წლის ნიუკანენმა თქვა, რომ ოლიმპიადის შემდეგ ის წყალსამოტორო სპორტით იქნება დაკავებული.

■ ■ ■

ოლიმპიადა-92 სტუმრებს ბარსელონაში 1750 მოყვარული და 250 პროფესიონალი მთარგმნელი მოემსახურება. ისინი 27 ენიდან თარგმნიან. პროფესიონალი სინქრონული თარგმანი კი გერმანულ, ინგლისურ, არაბულ, კორეულ, ესპანურ, ფრანგულ, იტალიურ, ჩინურ და - კატალონიურ ენებზე იწარმოებს.

■ ■ ■

27 წლის ამერიკელ კალათბურთელ ბობ უოლესს „დიდი მოგზაური“ შეარქვეს. საქმე ისაა, რომ ბოლო ექვს წელიწადში, მას შემდეგ რაც ევროპაში გადავიდა, უოლესმა ჯერ საფრანგეთში გამოიცვალა ორი კლუბი, მერე ესპანეთში თამაშობდა, იქიდან ისრაელში გადავიდა და ისევ საფრანგეთში დაბრუნდა.

■ ■ ■

დევისის თასის გათამაშების მატჩი საფრანგეთისა და ისრაელის ჩოგბურთელთა ნაკრებებს შორის 13 თებერვალს საფრანგეთში რომ უნდა გამართულიყო, სპარსეთის ყურეში ომის დაწყების გამო ორი თვით გადაიდო.

■ ■ ■

სსრ კავშირის ბალახის ჰოკეის ვაჟთა ნაკრებმა ვადამდე გაიმარჯვა ინდოეთში ჩატარებულ ინდირა განდის სახელობის საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც შვიდი გუნდი მონაწილეობდა: სსრკ, ინდოეთი, სამხრეთი კორეა, პოლონეთი, კენია, ბელგია და მსოფლიოს ჩემპიონი ჰოლანდია.

■ ■ ■

ყოფილი გდრ-ის სპორტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკი მარტინ ჰოუბნერი გამოტყდა, რომ ამ სახელმწიფოში ანტისადოპინგო ლაბორატორიები დოპინგის აღკვეთის ნაცვლად... სხვადასხვა სტიმულატორის მიღების ხერხების დახვეწაზე მუშაობდნენ.

■ ■ ■

უელსის მეორე ნაკრების მოთამაშე რიჩი გრიფითსს ქვეყნის რაგბის კავშირმა სტეროიდების გამოყენებისთვის ორი წლით აუკრძალა თამაში. გრიფითსი მორაგბეთა შორის პირველი ცოდვილი აღმოჩნდა. იგი სამხრეთ უელსის პოლიციის გუნდში თამაშობდა და დოპინგის ხმარებაში მხილებისთვის პოლიციიდანაც დაითხოვეს.

■ ■ ■

„სან-ფრანცისკოელი ორმოცდაცხრაიანელების“ ლეგენდარულ ქვორტერბექ ჯო მონტანას „ნიუ-იორკელმა გოლიათებმა“ შეხვედრის ბოლომდე ათი წუთით ადრე ხელი მოსტეხეს. მონტანას გარეშე დარჩენილმა გუნდმა თამაშის ბოლო ოთხ წამში ფილდგოლი გაუშვა, დამარცხდა — 13:15 და ამერიკული ფეხბურთის 25-ე „სუპერბოულის“ მიღმა დარჩა. ეს გადამწყვეტი შეხვედრა ფლორიდის ქალაქ ტამპაში ხვალ, 26 იანვარს უნდა გაიმართოს.

■ ■ ■

მომავალი ხუთი წლის მანძილზე საფრანგეთის „დიდი პრიზი“ ფორმულა-1 ავტომობილებით ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში მანის ტრასაზე ჩატარდება პარიზიდან იტყობინებიან, რომ ეს ცვლილება წლეულსვე შედის ძალაში და 1991 წლის ეტაპი ლე კასტელეს ნაცვლად მანიში გაიმართება.

აქეთური, იქითური...

„სარბიელის“ სპონსორია კოოპერატივი „ტრანსკავშირი“

სარბიელი
ინდექსი 66441

ჩვენი მისამართი:
თბილისი 380077, ვაჟა-ფშაველას გამზ. 43.
გაზეთ „სარბიელის“ რედაქცია.
ტელეფონი: 39-18-87.

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა კომპიუტერით ძსს გამოთვლით ცენტრში. ტელეფონი 35-28-44
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში
თბილისი, ხოშარაულის ქ. 29

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია.
სარედაქციო კოლეგია: ელგუჯა ბერიშვილი (რედაქტორის მოადგილე), გიორგი ქორქია (პასუხისმგებელი მდივანი), შალვა შალოლაშვილი, გიორგი ჩოჩიშვილი.